ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 16 აგვისტო, 2013 №193 (6194) ფასი: 30 თეთრი

უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები დღეს გაიმართება

გვ.5

კახა მიქაია: „ნაციონალებისთვის ნასროლ ყოველ ქვასა და ბოთლზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ!“

გვ.3

„ვისთვის არის ეს კოჰაბიტაცია, გამაგებინეთ! ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის კოჰაბიტაცია არასდროს არ არსებობდა. ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია გარედან მოგვახვიეს თავს. ჩემთვის ეს მიუღებელია და ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში შესვლას არ ვაპირებ“.

ზურაბ ხარაძიშვილი: „ივანიშვილმა და სააკაშვილმა ჩემი გადადგომის შესახებ წინასწარ იცოდნენ“

გვ.4

ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე პოლიტიკაში მიდის

პროკურატურამ თამაზაშვილის საქმეზე გამოძიება დაასრულა

გვ.2

სანდრო ბრეგაძე: „ბაჩო ახალაიას გათავისუფლებას არეულობა მოჰყვება“

გვ.2

დავით საგანელიძე: „რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში ბუფერი არ უნდა სჭირდებოდეთ“

გვ.6

რიჩარდ ნორლანდს ღიმილი ამერიკულმა პრესამაც დაუწუნა

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის უსაფრთხოების მინისტრი მიიღო

გვ.5

თავდაცვის მინისტრმა დაჭრილი ქართველი სამხედრო მოინახულა

გვ.5

ISSN 1987-9385

4 ცენტრალური საარჩევნო კომისია საგანგებო განცხადებას ავრცელებს

3 დიდი რაოდენობის „ჰეროინი“ ამოიღეს

5 შს მინისტრი ჩემპიონ სპორტსმენ პოლიციელებს შეხვდა

6 სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნება?

სანდრო ბრეგაძე: „ბაჩო ახალაიას გათავისუფლებას არეულობა მოჰყვება“

ნონა ცაბაძე

– ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომელსაც რაიმე ლოგიკური კალაპოტი არა აქვს, ანუ ის ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ქაოსურია და ეს ლოგიკიურიც იყო, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე.

– ბატონო სანდრო, რატომ იყო ლოგიკური პროცესების ასე განვითარება?

– იმ ხელოვნური კოჰაბიტაციის პროცესმა, რომელი ხელოვნური კოჰაბიტაციაც დღეს ჩვენ თავს გვაქვს მოხვეული, თავისი უარყოფითი შედეგები უკვე გამოიღო და ჩვენ ვხედავთ, რომ დამნაშავე ნაციონალური მოძრაობის ადგილას ნელ-ნელა ფუძნდება და აღმოცენდება ახალი ტიპის ორგანიზაცია, რომელიც ბევრად უფრო დაცულია ხელისუფლების მიერ, ვიდრე ნებისმიერი სხვა პარტია თუ პოლიტიკური კავშირი. მე ვფიქრობ, რომ ახალაიას გუშინდელმა პროცესმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, სამართალდამცავების ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავ მერაბიშვილის დროშია ჩარჩენილი და ფიქრობს, რომ კვლავ მერაბიშვილია შინაგან საქმეთა მინისტრი.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– აბა, სხვას ვერაფერს ვერ ვუწოდებ იმ ფაქტს, როდესაც უდანაშაულო პოლიტპატიმარი, ბატონი გაბედავა დაპატიმრებული იქნა, მას შემდგომ, რაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კმარას ნაცზონდერმა, ყოფილმა სადისტმა პოლიციელმა და ავაზაკმა, ვინმე გოგა ონიანმა. მართალია შემდეგ ჩვენი და პირადად ჩემი მოთხოვნის შედეგად და საზოგადოების პროტესტის შედეგად ბატონი გაბედავა გამოშვებულ იქნა პოლიციიდან და გოგა ონიანი კი იკითხება, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ პოლიციამ და სამართალდამცავებმა იმავე წუთში ვერ გაიკეთეს ადეკვატური რეაგირება ამ მეტად აღმაშფოთებელ ფაქტზე, მეტყველებს იმაზე, რომ საქმე არცთუ ისე კარგად არის. ამის ნათელი დადასტურებაა ასევე როლანდ ახალაიას საქციელი სასამართლოში და კიდევ ათასგვარი უბედურება, რომელიც დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში. აგრეთვე ფერზე მოსული ნაცზონდერები, რომლებიც უკვე ფართოდ გამოიყარნენ თბილისის ქუჩებში და შეურაცხყოფას აყენებენ ადამიანებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ ყველფრის საფუძველი დევს ხელოვნურ კოჰაბიტაციაში, რომელიც უცხო რამ არის ქარველი საზოგადოებრიობისთვის და რომელმაც გამოიწვია ის საშინელი პროცესები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მეოხებით მიმდინარეობს ქვეყანაში. რა უნდა ილაპარაკო იმ ქვეყანაზე, სადაც ბაჩო ახალაიას ბრალს უხსნიან და ამართლებენ. ეს ხომ თავიდან ბოლომდე მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არანაირი სამართლიანობა, არანაირი სამართალი არ არის და სისხლის სამართლის დამნაშავეს, ავაზაკს შეუძლია თავისუფლად იაროს ქუჩაში, ხოლო ვინც ამ ბრალდებით არის დაპატიმრებული, ის გარეთ გამოუშვას სასამართლომ. მე ვფიქრობ, რომ აუცილებლობა დადგა იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი თავიდან ბოლომდე შეიცვალოს და ჩვენ წავიდეთ ახალი გზით. სამართლიანობის აღდგენის გზით, თორემ მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ სამართლიანობა არ აღდგა სამართალდამცავთა მიერ და მე ვხედავ, რომ ეს პროცესი არათუ გაჭიანურებული, არამედ შეჩერებულია, მაშინ დიდი შანსია, რომ თვითონ ხალხმა, ჩვენმა მოსახლეობამ აღადგინოს სამართლიანობა. პირველი ოქტომბრის დანაპირები არ ყოფილა ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია და მისი გადარჩენა. პირველი ოქტომბრის მთავარი დანაპირები იყო ნაციონალური მოძრაობის გასამართლება და სამართლიანობის აღდგენა. რაც ჩემდა სამწუხაროდ, არ სრულდება და არც პერსპექტივაში ჩანს, რომ შესრულდეს.

– თუკი სასამართლომ გაამართლა ბაჩო ახალაია, ამას მოითმენს ქართველი ხალხი და რა პროცესებამდე შეიძლება მივიდეთ?

– იცით, მე ცოტათი მიჭირს იმისი დაჯერება, რომ ბაჩო ახალაია შეიძლება გამართლებულ იქნეს, თუმცა კუბლაშვილის სასამართლოს პირობებში აბსოლუტურად ყველაფერია მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი იქნება ძალიან რთული და ძალიან ცუდი პროცესების დასაწყისი, რომლებიც შეიძლება საქართველოში განვითარდეს. ამავე დროს ნიშანდობლივია ისიც, რომ ახალაიების მიმართ წაყენებული ბრალდებები – ეს იყო ძალიან სუსტი ბრალდებები. კი, ეს იყო ფაქტები, მაგრამ კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ისეთი ტიპის დამნაშავე, როგორიც ახალაიაა, არ შეიძლება სამართლდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რესტორანში ვიღაცას თავში რაღაცა ჩასცხო, ან ჯარისკაცები არბენინა წვიმიან ამინდში სენაკის სამხედრო ბაზაზე. ეს ბრალდებები, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია ყველა იმ დანაშაულებრივ საქმიანობასთან შედარებით, რომელსაც ბაჩო ახალაია და მისი კლანის წევრები სჩადიოდნენ წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით საქართველოში, როდესაც შენ შედარებით „ლაითი“ ბრალდებებით ასამართლებ ასეთი ტიპის დამნაშავეს, ამით ფაქტობრივად ხაზს უსვამ იმას, რომ შენ არ შეგწევს უნარი, გამოიძიო ის სერიოზული საქმეები, რომელი სერიოზული საქმეებიც არსებობს ახალაიასა და მის კლანთან დაკავშირებით. ნურც ის გაგვიკვირდება, რომ შესაძლოა ანგაჟირებულმა მოსამართლემ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და ასეთი, შედარებით რბილი ბრალდებების ფონზე, გაამართლოს ახალაია ან მისი კრიმინალური დაჯგუფების წევრები. მე ვფიქრობ, რომ გამოძიებამ თვიდანვე დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც აქლემის ქურდის გასამართლება დაიწყო ნემსის ქურდობისთვის. ეს იყო კონცეპტუალური შეცდომა, რომელი შეცდომაც გამოძიებას არ უნდა დაეშვა. სამწუხაროდ, დღეს გამოძიება მიმდინარეობს არაპროფესიონალთა მიერ, დილეტანტთა მიერ, რომლებიც არიან გამოჩეკილები ადეიშვილის დროინდელ პროკურატურაში და რომლებიც თუ თავის დროზე არ მოსცილდნენ პროკურატურასა და იგივე სხვა სამართალდამცავ ორგანოებს, მაშინ ვერასოდეს ჩვენ წინ ვერ წავალთ და ვერ მივიღებთ რეფორმირებულ, პროფესიონალურ და დამოუკიდებელ სამართალდამცავ ორგანოებს, თუნდაც იგივე პროკურატურას.

– ბატონო სანდრო, მოდით, საპრეზიდენტო არჩევნების თემასაც შევეხოთ, ოცნების კანდიდატმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. რა შედეგებს ელით და ზოგადად როგორ აფასებთ კანდიდატთა შანსებს?

– პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენას ადგილზე, ნოქალაქევში მოჰყვა სერიოზული პროტესტი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ქართულ ოცნებაში ახლად მოყვანილი ნაციონალური წევრების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, რომ მგლის ტყავი გაიძრონ და ცხვრის ქურქში გამოეწყონ. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი პროტესტი მოჰყვა ისეთი ტიპის ავაზაკის გამოჩენას ქართული ოცნების რიგებში, როგორიც გურამ მისაბიშვილია, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი, ნაციონალების მეხოტბე და ადამიანი, რომელიც იარაღებით დაგვდევდა ჩვენ სამეგრელოს რეგიონში არჩევნების მიმდინარეობისას და ყველანაირად ხელს უშლიდა ქართული ოცნების ქმედებებს სამეგრელოს რეგიონში. ეს ადამიანი არ იხევდა უკან, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოყენებულიყო ფიზიკური ძალა, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები, ზონდერ დაჯგუფებები და ასე შემდეგ. როდესაც ასეთი ტიპის ადამიანს ხედავს სენაკის მოსახლეობა, ის ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით იბრძოდნენ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ სამეგრელოს რეგიონში და მისაბიშვილისნაირ პიროვნებებს ხედავს ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის არათუ მხარდამჭერთა, არამედ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთა რიგებში, რა თქმა უნდა, პროტესტი ჩვენ ვიხილეთ სენაკში, აბსოლუტურად ობიექტური და აბსოლუტურად სამართლიანია. რატომ ვამბობ ამას, იმ ფონზე, როდესაც ქართული ოცნების რაიონული ორგანიზაციებიდან გადიან წევრები და გადადიან სხვა პარტიაში, ეს საგანგაშო მოვლენა უნდა იყოს ქართული ოცნებისთვის. დღეს თუკი ვინმე ცდილობს, რომ ეს ყველაფერი მსუბუქ ფორმებში წარმოუდგინოს ბიძინა ივანიშვილს, ეს არასწორი ქმედებაა. თავის დროზე დავით საგანელიძემ და არმაზ ახვლედიანმა, ჩვენდა სამწუხაროდ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შეცდომაში შეიყვანეს ბიძინა ივანიშვილი.

– შეცდომაში შეყვანაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ როდესაც მას წარუდგინეს ქართული ოცნების წევრები, ისინი, ვინც პროტესტს გამოხატავდნენ საკადრო პოლიტიკის მიმართ, რომ ისინი არიან ჩანერგილები, ჩატოვებულები და ასე შემდეგ. თუმცა დღევანდელ ეტაპზე, როცა მასობრივი ხასიათი მიიღო თვითონ ქართული ოცნების პარტიაში, ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბში პროტესტმა, იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც იბრძოდნენ ქართული ოცნების გამარჯვებისთვის, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გახდეს დასჯის საგანი და სათანადო გადაწყვეტილების მიღების საგანი ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. ეს აჩვენებს, რომ ფაქტობრივად ბიძინა ივანიშვილის პარტიაში სიტუაცია იმდენად არეულია და ისეთი დომხალია იქ, რომ ამის დალაგება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძალიან ძნელი იქნება. ჩვენ დღეს ვხედავთ ერთ საშიშ ტენდენციას და მინდა, რომ ამას ყველამ მიაქციოს ყურადღება.

– რომელ ტენდენციას გულისხმობთ?

– ქართული ოცნებიდან განდევნეს ის ერთგული თანამებრძოლები, რომლებიც პირველი ოქტომბრის არჩევნებში თავდაუზოგავად იბრძოდნენ ოპოზიციის გამარჯვებისთვის და მათ ადგილას მოიყვანეს და კიდევ მოჰყავთ ნაციონალური მოძრაობის ყველაზე საშინელი ფრთის წარმომადგენლები და აკავებინებენ მათ ადგილს. ანუ ნაციონალების ტრანსფორმირება ხდება ქართული ოცნების რიგებში და თქვენ როგორ ფიქრობთ, ავაზაკების და ნაძირლების მიერ შექმნილი საარჩევნო შტაბები იქნება კი მოსახლეობის ნების გამომხატველი?! და, რა თქმა უნდა, არ იქნება! ეს იქნება მხოლოდ იმ კლანური, მაფიოზური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გაოცნებებულ წევრებს აქვთ. ამ ფონზე, როდესაც ფაქტობრივად ჩამოუყალიბებელია საარჩევნო შტაბი და მისი ხელმძღვანელობა იმდენად დაბნეულია, იმდენად ქაოსურად მოქმედებს და არ იცის, რა გააკეთოს, რა თქმა უნდა, ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის შანსები, რომ მან პირველ ტურში მოიპოვოს გამარჯვება, შემცირებულია და შემიძლია ვთქვა, თუკი სასწაული არ მოხდა ქართული ოცნების კანდიდატი პირველ ტურში ვერ გაიმარჯვებს. რა იქნება მეორე ტურში, ეს სხვა საკითხია, თუმცა მე მინდა გითხრათ ერთი დაზუსტებული და მეტად შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტები პირდაპირ ცდილობენ, რომ მეორე ადგილზე გაიყვანონ დავით ბაქრაძე და მეორე ტური გაიმართოს დავით ბაქრაძესა და გიორგი მარგველაშვილს შორის. ეს კოჰაბიტაცია აღარ არის, ეს პოლიტიკური ქორწინებაა და უკანონო პოლიტიკური ქორწინება, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს მოსახლეობის ზურგს უკან. ვინც ასეთ თამაშებს აწარმოებს, ის წინ ვერ წავა და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ კისერსაც წაიტეხს უახლოეს ხანებში. ქართული ოცნების კანდიდატის წარუმატებლობა იქნება იმ გუნდის კისერზე, რომელი გუნდიც მას შემოუკრიბეს და რომელი გუნდიც დაკომპლექტებულია ნაცზონდერებითა და მისაბიშვილისნაირი მედროვეებით, რომელიც სძულს, ეზიზღება ქართველ ხალხს და მათი პროტესტი აბსოლუტურად სამართლიანია.

პროკურატურამ თამაზ თამაზაშვილის საქმეზე გამოძიება დაასრულა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გენერალ თამაზ თამაზაშვილის განზრახ უკანონო დაკავებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაასრულა.

როგორც გუშინ მთავარ პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პროკურორმა კობა კაციტაძემ განაცხადა, გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის ოქტომბერში თამაზ თამაზაშვილი დაკავება პოლიტიკური მოტივით განხორციელდა.

საქმეში ბრალდებულებს,პატიმრობაში მყოფ, თბილისის პოლიციის ყოფილ თანამშრომლებს კი აღმკვეთი ღონისძიება შეუმსუბუქდებათ.

„გამოძიების დასრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დანაშაულის მონაწილეების, მათ შორის, მისი უშუალო ამსრულებლების, პატიმრობაში მყოფი, ქ.თბილისის პოლიციის ყოფილი თანამშრომლების – გივი კრავჩენკოს, გრიგოლ კვინიკაძის, ზაზა ჭაიას, ვლადიმერ გამრეკელაშვილის, გოჩა ჩიტაიას და გოჩა ბაღათრიშვილის საგამოძიებო ორგანოებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. შესაბამისად, დანაშაულის სრულად გახსნის საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება, დასახელებული პირების მიმართ უფრო მსუბუქი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ბრალდებულების აღიარებითი ჩვენებებისა და მათი ქმედითი დახმარებით შეკრებილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე უდავოდ დადასტურებულია, რომ 2011 ოქტომბერში, თამაზ თამაზაშვილის დაკავება განხორციელდა პოლიტიკური მოტივით, კახეთის რეგიონში მისი ელექტორალური შესაძლებლობების განეიტრალებისა და ზოგადად, იმდროინდელი ოპოზიციური მოძრაობის დისკრედიტაციისა და დაშინების მიზნით“,-განაცხადა პროკურორმა.

მისივე ცნობით, გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის დავალებით, თამაზ თამაზაშვილისათვის დანაშაულის დაბრალების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩადების ოპერაციის ორგანიზებასა და ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მათ შორის, მისი სატელეფონო საუბრების უკანონო მიყურადებაში ჩართული იყვნენ ამჟამად ბრალდებულები: ქ.თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, გიორგი ხიზანიშვილი, ირაკლი ქოპილაშვილი, აგრეთვე, კონსტიტუციური უსაფრთოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დანაყოფის უფროსი, ზურაბ ლალიაშვილი.

ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საფუძველზე გასამართლებული თამაზ თამაზაშვილი სასჯელს იხდიდა 1 წლის განმავლობაში და იგი პატიმრობიდან 2012 წლის ოქტომბერში გათავისუფლდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა მიქაია: „ნაციონალებისთვის ნასროლ ყოველ ქვასა და ბოთლზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ!“

შორენა მარსაგიშვილი

ორგანიზაცია „დაცავი საქართველოს“ ეთ-ეთი ღიღეხი, კახა მიქაია, ნაციონალების ჯუმმახად იქცა. მისი გაჩეხება და დაშინება ნაციონალებმა მაშინაც ჯი ვეხ შეძლეს, ხოცა მთელ ქვეყანას შიშის ზახს სცემდნენ. ახლა მიქაიასა და მის თანამოაზხეებს მოქმედება უფხო თავისუფლად შეუძლიათ, მაგხამ მათ ახც ახალი ხელისუფლება სნყალობს. ნაციონალების დანიოჯების გამო ისინი ხამდენჯეხმე დააპატიმხეს და 100-100-ღახიანი ჯახიმა გადაახდევინეს. მიქაიას ხალხის მიეხ ნაციონალების ანიოჯებას „ქართული ოცნება“ ოფიციალუხად გაემიჯნა და ასეთი ქმედებები დაგმო, ნაციონალები ჯი ამტკიცებენ, ხომ ჯახა მიქაიას უკან მეოცნებეები დგანან.

დგას თუ არა მის უკან „ქართული ოცნება“, რა პრეტენზიები აქვს ახალ და ძველ ხელისუფლებასთან, რატომ არის მზად, ბიუჯეტი მის ხარჯზე შეივსოს, ამ თემებზე კახა მიქაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბოლო დროს თქვენ ძალიან გააქტიურდით და ნაციონალებს სისხლს უშრობთ. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენ მიერ მოწყობილ აქციებს გმობენ, ნაციონალები კი ამტკიცებენ, რომ თქვენ უკან „ქართული ოცნება“ დგას. ამაზე რას გვეტყვით, ბატონო კახა?

– როდის იყო, ნაციონალები სიმართლეს ამბობდნენ? კოალიცია „ქართული ოცნება“ არც კი არსებობდა, მე რომ მიხეილ სააკაშვილს დავდევდი. თუ ამბობენ, რომ ოცნება დგას ჩემ უკან, მოიტანონ და დადონ ფაქტები. მე არავის მოწყობილ აქციებზე არ დავდივარ, მე იქით ვაწყობ აქციებს. ის აქციები, რომლებიც სამეგრელოში სააკაშვილისა და მისი პარტიის წინააღმდეგ მოეწყო, ჩემ მიერ არის ორგანიზებული. თქვენი გაზეთის მეშვეობით საჯაროდ ვაცხადებ, რომ სამეგრელოში ნაციონალებისთვის ნასროლ ყოველ ბოთლზე, ქვასა და მსხალზე მე ვიღებ პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გია ბარამიძისთვის ამორტყმულ პანჩურზე ვიღებ. ნაციონალებს ჭორების გავრცელების მეტი არაფერი დარჩენიათ, მაგ უბედურებს აღარც ეგ საქმე გამოსდით. მთელმა საქართველომ იცის, რომ ეგ აქციები ჩემი ორგანიზებულია. მე სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა გუშინ არ დამიწყია, ამ საშინელებას უკვე 9 წელია ვებრძვი. ეს მათაც კარგად იციან და შეგნებულად მაბრალებენ, რომ თითქოს სხვისი დავალებით დავდევ მათ. მე და ჩემი თანამოაზრეები სააკაშვილს სამეგრელოსა და მთლიანად საქართველოს სახელით დავდევთ.

– ნაციონალების მიმართ რა განწყობა აქვს სამეგრელოს მოსახლეობას?

– რა განწყობა უნდა ჰქონდეთ? დასანახავად ვერ იტანენ. როგორ შეიძლება, საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში მათ მიმართ ვინმე დადებითად იყოს განწყობილი.

– ამბობთ, ყველა უარყოფითად არის განწყობილიო. მათ წინააღმდეგ მოწყობილ აქციებზე რატომღაც მხოლოდ თქვენ და რამდენიმე პირი ჩანხართ.

– მე უფრო მეტად, ალბათ, იმიტომ ვჩანვარ, რომ აქციების ორგანიზატორი ვარ. სააკაშვილის პარტიის მიმართ განწყობა გამოჩნდა 20 ივლისს. მაგ დღეს ნაციონალებმა ზუგდიდში პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი ჩაატარეს. მათ ჩვენ სირცხვილის „კორიდორები“ მოვუწყვეთ. აქციაზე 2 000 კაცი იყო გამოსული. სერიოზული აქცია იყო. ხელისუფლებას შეეშინდა, თეატრი არ აგვეღო და ბაქრაძე არ გვეცემა.

– პოლიცია რომ არ ჩარეულიყო, მართლა აპირებდით თეატრში შეჭრას, სადაც ნაციონალები პრაიმერის ატარებდნენ?

– რატომ გიკვირთ? გასაკვირი ისაა, რასაც ხალხი ამ წლების განმავლობაში ითმენდა. სამეგრელოში ნაციონალების მიმართ განწყობა სულ უფრო უარყოფითი ხდება. იმას არ უყუროთ, რომ ეკრანზე მარტო მე ვჩანვარ. ადრე ნაციონალებს სამეგრელოში ვარდებით, სიმღერებითა და ჟივილ-ხივილით ხვდებოდნენ. ახლა მათ ქვებით, ბოთლებით, მსხლებით, ბარებითა და ცოცხებით ხვდებიან. ხალხმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. აქამდე 2 კაცი ვერ დაელაპარაკებოდა ერთმანეთს. ახლა ყველას შეუძლია, თავისუფლად დააფიქსიროს თავისი აზრი. სამეგრელომ დამსახურებული „პატივი“ მიაგო ნაციონალებს. ჩვენ მოვუწყვეთ მათ ყველაზე ხმაურიანი აქციები, ჩვენ დავდგით მიშას კუბო და წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა აღვირახსნილი სააკაშვილი ჩვენს რეგიონში თავისუფლად გადაადგილდებოდა.

– ამ აქციების შემდეგ სულ თქვენ გაპატიმრებენ და შემდეგ 100-ლარიანი ჯარიმით გიშვებენ. თქვენს ხარჯზე ხომ არ აპირებენ ბიუჯეტის შევსებას?

– ბოლოს რომ დამიჭირეს, მოსამართლემ მკითხა, კიდევ რომ ჩამოვიდეს მიშა, რას იზამო. ვუპასუხე, რომ კიდევ გადავიხდი ჯარიმას და, თუ ბიუჯეტის შევსება ჩემზეა დამოკიდებული, ნუ ეშინიათ, შევავსებ ბიუჯეტს.

– სამეგრელოს მოსახლეობა ნაციონალების მიმართ აგრესიულად რომ არის განწყობილი, გასაგებია, მაგრამ, არ შეიძლება, ცოტა სხვა ტიპის აქციებით დახვდეთ? ქვების სროლა და ცემა-ტყეპა მათ წისქვილზე ასხამს წყალს. ყოველი ასეთი აქციის შემდეგ წამებულის მანტიას ისხამენ ხოლმე.

– რამდენჯერაც უნდათ, იმდენჯერ მოისხან წამებულის მანტია. ხალხი მათი ცემისთვის მადლობას გვეუბნება. კოხტა კოდუა და მეგის ქარდავა მამაკაცებს ნარზე აუპატიურებდნენ. წარმოგიდგენიათ, ეს რა საშინელებაა? ამ საშინელების ჩამდენ ხალხს ყვავილები ვესროლოთ თუ ცეკვა-თამაშით დავხვდეთ? ნაციონალებს სამეგრელოში საშინელებები აქვთ ჩადენილი და ამიტომაც ხვდება მათ ხალხი ასე. შესაძლოა, ეს აქციები თბილისსა და სხვა რეგიონებს თვალში ცუდად ხვდება, მაგრამ სამეგრელომ საშინელება გამოიარა. ხალხი აღშფოთებულია და შურისძიების გრძნობა აწვალებთ. კიდევ მადლობა გვითხრან ნაციონალებმა, ქუჩაში რომ არ დავდევთ და არ ვცემთ. სანამ ვინმე დაგვძრახავს, გადახედონ, რას ჩადიოდნენ ეს მკვლელები სამეგრელოში. ვიღაცა იტყვის, ეს ევროპული დონის პროტესტი არ არისო. მე არ ვიცი, რა არის ევროპული პროტესტი, მე ვიცი, რომ ეს ხალხის გულიდან ამოსული რეაქციაა. ასე რომ, ყველა დამშვიდდეს და ყველამ საკუთარ მამიდას მიხედოს.

– ბატონო კახა, ხალხის ასეთი აღშფოთება იმითაც ხომ არ არის გამოწვეული, რომ ახალი ხელისუფლება დამნაშავეებს არ იჭერს?

–სწორედ ამის ბრალია, რომ ხალხი ასეთი გამწარებულია. ის ადამიანები, ვინც ხალხს აწამებდა, აუპატიურებდა, არჩევნებს აყალბებდა, კიდევ ჩანან. ისინი კვლავ გამოდიან პრესით, ტელევიზიით და უსირცხვილო განცხადებებს აკეთებენ. მოსახლეობას ეს საშინლად აღიზიანებს. აბა, გავიხსენოთ, რისთვის მისცა „ქართულ ოცნებას“ ხალხმა ხმა? მას მხარი იმიტომ დავუჭირეთ, რომ სამართლიანობის აღდგენის პირობა მოგვცეს. ქვეყანაში საშინელი ეკონომიკური სიდუხჭირეა, მაგრამ, ხომ ხედავთ, ხალხი სოციალურ პრობლემებს არ ჩივის, მათთვის მთავარი სამართლიანობის აღდგენაა. ხალხმა თუ არ დაინახა, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო, არ გაჩერდება. არც მე გავჩერდები. არ გავჩერდები იმიტომ, რომ სააკაშვილმა ადამიანს ღირსება შეულახა და თავისუფლება წაართვა. ხალხისთვის მთავარია ღირსება და, სანამ ღირსებას არ აღიდგენენ, არ მოისვენებენ! მინდა, ოცნებამ გაიგოს კარგად, რომ საზოგადოება არ დამშვიდდება მანამ, ვიდრე საქართველოში სამართლიანობა არ აღდგება.

– მეოცნებეები მოსახლეობას ჰპირდებიან, რომ 27 ოქტომბერს საქართველოში დასრულდება კოჰაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა დაიწყება. რას ფიქრობთ ამაზე?

– ვისთვის არის ეს კოჰაბიტაცია, გამაგებინეთ! ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის კოჰაბიტაცია არასდროს არ არსებობდა. ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია გარედან მოგვახვიეს თავს. ჩემთვის ეს მიუღებელია და ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში შესვლას არ ვაპირებ.

– იმის თუ გჯერათ, რომ კოჰაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულდება?

– ძალიან მინდა, მართლაც ასე მოხდეს. მინდა, ახალმა ხელისუფლებამ კარგად გაიგოს, რომ საზოგადოება მიხეილ სააკაშვილთან, როლანდ ახალაიასთან, მეგის ქარდავასთან, ბაჩო და დათა ახალაიებთან, ბოკერია-უგულავებთან კოჰაბიტირებული ვერ იქნება. ცოტა ხნის წინ თავად ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ კრიმინალებთან კოჰაბიტაცია შეუძლებელია. იმედია, ეს პროცესი მართლაც დასრულდება.

– რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ კოჰაბიტაციის პროცესი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა?

– მოხდება ის, რომ ხალხი თავად დაიწყებს სამართლიანობის აღდგენას. სააკაშვილის რეჟიმმა უამრავი საშინელება ჩაიდინა. ყველაზე დიდი საშინელება კი ის გახლდათ, რომ მათ ქართველი კაცის ღირსება შელახეს. ეს დაუსჯელი არ დარჩება. ხელისუფლება თუ არ მოსთხოვს დამნაშავეებს პასუხს, ამას ხალხი გააკეთებს. სამეგრელოში ნაციონალები თავისუფლად ვეღარ დადიან. ასე იქნება მთელ საქართველოში. ამიტომაც მათთვისაც უკეთესი იქნება, თუ ციხეში წავლენ და ჩადენილ დანაშაულზე პასუხს იქ აგებენ.

დიდი რაოდენობის „ჰეროინი“ ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1953 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე სუსანა კ., სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით (330 გრამი) ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს. დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნარკოტიკული საშუალება საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

რიჩარდ ნორლანდს ღიმილი ამერიკულმა პრესამაც დაუწუნა

შორენა მარსაგიშვილი

ჯოჯონდას ღიმილის შემდეგ ისეთი ჰოპულარული ღიმილი ახავის ჰქონია, ხოგორც საქართველოში აშშ-ს ელჩს აღმოაჩნდა. ჯოჯონდას ღიმილის მსგავსად ხიჩარდ ნორლანდის ღიმილი საუჯუნეებს აღბათ ვეხ გაუძღებს, თუმცა ეს დღეები საქართველოში მხოლოდ ამაზე საუბრობენ. თან იმდენი იღაპარაკეს, ხომ ნორლანდის ჯბილების გაელვებაზე ამეხიჯუღმა მედიამაც ატეხა განგაში. მანამდე განმარტებები საქართველოში აშშ-ს საელჩომ ანუ ნორლანდის ჯანტორამ გააჯეთა.

ყველაფერში დამნაშავე ამერიკული ხომალდია. რომელიც ჩვენს ტერიტორიულ წყლებში წინა კვირას შემოვიდა. გემის კაპიტანმა საზეიმო მიღება გამართა და მთელი ჩვენი მთავრობა დაპატიჟა. ეტყობა, ამ კაპიტანმა არ იცოდა ჩვენი პრემიერი და პრეზიდენტი კარგად რომ ვერ არიან ერთმანეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალ-ცალკე მოუწყობდა მიღებას.

სააკაშვილი მიღებაზე პიჯაკზე ღილაწყვეტილი და ყაყაჩოდაბნეული მივიდა. ამ ყაყაჩოსთან დაკავშირებით პრემიერი მას უადგილოდ და უკბილოდ ეხუმრა. სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა აგვისტოს ომზე ისაუბრა. ამასთან ივანიშვილი ლამის მოღალატედ გამოაცხადა. მისი გამოსვლის დროს ივანიშვილსა და რიჩარდ ნორლანდს სიცილი აუტყდათ და კინაღამ ჩაბჟირდნენ.

საქართველოში აშშ-ის საელჩომ ამერიკულ გემ „ბალკლზე“ პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის რეაქციაზე განმარტება 2 დღეში გააკეთა.

– სამწუხაროა, რომ ზოგიერთებმა გადაწყვიტეს არასწორი ინტერპრეტაცია გაეკეთებინათ ელჩ ნორლანდის სახის გამომეტყველებაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლისას „ბალკლის“ ხომალდზე. ელჩი იღიმებოდა იმის გამო, რომ მისმა ძალისხმევამ, აღედგინა პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები ამ წარმომადგენლობით ღონისძიებაზე, მიზანს ვერ მიაღწია, – აცხადებენ აშშ-ის საელჩოში.

მიუხედავად ამისა, ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მიიჩნევენ, რომ ხომალდის საქართველოში ვიზიტი წარმატებული იყო და ადასტურებს იმას, რომ აშშ-ის ერთგულება ორმხრივ ურთიერთობებში, საქართველოსთან საზღვაო უსაფრთხოებისა და შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის კონტექსტში მტკიცეა.

ნორლანდის ღიმილზე სტატია ამერიკულმა გამოცემამაც გამოაქვეყნა. „სასაცილო არაფერია“ – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია გაზეთმა „ვაშინგტონ ტაიმსმა“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში აშშ-ის მოქმედი ელჩი გამოცდილი დიპლომატია, რომელიც ისეთ სახიფათო ფორპოსტებზე მუშაობდა, როგორიც არის ავღანეთი და არქტიკა.

– რიჩარდ ნორლანდი თეთრ სახლში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრად და ნაციონალური ომის კოლეჯის მეთაურის მოადგილედაც მსახურობდა. თუმცა, მისი უნარები ჩაფლავდა, როცა გასულ კვირას, ამერიკულ ხომალდზე ვიზიტის დროს საქართველოს მწვავედ დაპირისპირებული მეტოქეების სიტყვიერი შეკამათების დამშვიდებას შეეცადა. პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის სიტყვიერმა შეკამათებამ მწვავე მედიაგამოხმაურება ჰპოვა, სადაც ასევე აღნიშნული იყო, რომ რიჩარდ ნორლანდი იცინოდა, როცა ლიდერები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, – აღნიშნავს სტატიის ავტორი მორისონი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მოგვიანებით აშშ-ის საელჩომ განმარტება გააკეთა, სადაც ნათქვამი იყო – აშშ-ის ელჩი იმაზე იცინოდა, რომ მისი ძალიხსმევა, საზეიმო ღონისძიებაზე პროტოკოლი დაეცვა, არაეფექტური გამოდგა.

როგორც მორისონი წერს, აშშ-ის საელჩოს ამ განცხადებით საელჩომ აღიარა, რომ რიჩარდ ნორლანდმა ვერ შეძლო დაპირისპირებული ქართველების შეჩერება, რაც დიპლომატიური საქმიანობის რუტინა იყო, რომელსაც საქართველოს მიმართ აშშ-ის სოლიდარობა უნდა ეჩვენებინა.

– ამ სოლიდარობას კი რუსეთის მხრიდან საფრთხე დღესაც, 2008 წლის ომიდან ხუთი წლის შემდეგაც ემუქრება საფრთხე, – წერს ჯეიმს მორისონი.

„ვაშინგტონ ტაიმსის“ ცნობით, ამერიკულ ხომალდ „ბალკლიზე“ პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტს უთხრა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში დამნაშავე და პასუხისმგებელი საქართველო კი არა, თავად პრეზიდენტია. რაზეც პრეზიდენტი სააკაშვილი შეეცადა პრემიერ-მინისტრი რუსეთის მარიონეტად წარმოეჩინა.

ზურაბ ხარატიშვილი: „ივანიშვილმა და სააკაშვილმა ჩემი გადადგომის შესახებ წინასწარ იცოდნენ“

ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე პოლიტიკაში მიდის

ნათია ხურცილავა

ცენტრისტული პლატფორმის მძლავრი პოლიტიკური მოძრაობა, პრეზიდენტობის ამბიციები – ასეთია განაცხადი, რომელიც ზურაბ ხარატიშვილმა დაპირებისამებრ გუშინ გააკეთა.

ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოდის და როგორც აცხადებს, სწორედ ამიტომ გადადგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორთვე-ნახევრით ადრე.

ხარატიშვილმა გუშინ „ფორ.გე“-ს პრესკლუბში პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. თუმცა, როგორც გვითხრა, ის უფრო ამომწურავად ჩვენს კითხვებს 20 აგვისტოს უპასუხებს.

– დღეს ქართველი საზოგადოება პოლიტიზებულია. დომინირებს სიძულვილის ენა. ყველა ვიღაცის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და მოწინააღმდეგის განკითხვასა და განადგურებას ესწრაფვის. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, მთელი საქართველო სასამართლოდ გადაიქცა. ასე არ შეიძლება, გაგრძელდეს. ამგვარი დამოკიდებულება დაგვანგრევს ჩვენ ფიზიკურად და სულიერად. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობამ შესაძლებლობა მომცა, მიუკერძოებლად დამენახა ცუდი და კარგი მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა არის გასაუმჯობესებელი და რაზეა უარი სათქმელი. ქვეყნისა და საზოგადოების შენება იწყება ყველა ჩვენგანის გულსა და გონებაში, იმ ქრისტიანული ღირებულებების საფუძველზე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში გაითავისეს და დღემდე მოგვიტანეს. „სიყვარულს უშენებია“ – ეს არის მარადიული კონცეფცია, რომელიც ისტორიის წიაღიდან მოდის და მომავლის გზას გვიჩვენებს. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა, გამოცდილება მივმართო ურთიერთნდობის აღდგენისა და საზოგადოების კონსოლიდაციისკენ, რათა ჩემი ძალისხმევა სრულად მოვახმარო ქვეყნის შენებას და კეთილდღეობას. აქტიურ პოლიტიკაში ჩართვით, მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვიღებ ქვეყნის მომავალზე, რათა მთელი ენერგია მოვახმარო ქვეყნის განვითარებას, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის დამკვიდრებას. მე მჯერა, რომ ამ კუთხით შევძლებ, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანო ქვეყნის განვითარებაში. – განაცხადა ხარატიშვილმა.

კითხვაზე – ახლი პოლიტიკური ცენტრი რა პოლიტიკური პლატფორმის იქნება? აცხადებს: ცენტრისტული, მემარჯვენეობისკენ ოდნავ გადახრილი, ევროპული ორიენტაციის ქართული ღირებულებებით. პოლიტიკური ცენტრის მთავარი ამოცანა ევროინტეგრაცია იქნება და იქვე აკონკრეტებს, რომ 20 აგვისტოს უფრო ვრცლად ისაუბრებს აღნიშნულ საკითხზე.

– 21-ე საუკუნეში ჩვენ უნდა მოვახდინოთ საუკეთესო უცხოური ტექნოლოგიებისა და ევროპული-ევროატლანტიკური ფასეულობების ინტეგრაცია ჩვენს ღირებულებებთან. ეს დიდი ამოცანაა და დიდი ძალისხმევა დასჭირდება ამის განხორციელებას, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ამის ენერგია და სურვილი გააჩნია. როგორც გითხარით, მე გამოვდივარ ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის ინიციატივით. უახლოეს დღეებში, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ჩამოვაყალიბებ იმ კონცეპტუალურ საფუძვლებს, რის გარშემოც გავმართავთ კონსულტაციებს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან და პიროვნებებთან. აღნიშნულ პრინციპებს საზოგადოებას 20 აგვისტოს წარვუდგენ. – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

როგორც ხარატიშვილი აცხადებს, ივანიშვილისთვისა და სააკაშვილისთვის მისი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ხარატიშვილმა გვითხრა, რომ პრეზიდენტი და პრემიერი ინფორმირებული იყვნენ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტის დატოვებას აპირებდა.

ხარატიშვილმა არც ის დამალა, რომ გადადგომის შესახებ და შემდგომი მოქმედების გეგმის შესახებ თვე-ნახევარი ფიქრობდა.

– ამ პერიოდში შევხვდი პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სხვა პოლიტიკურ ლიდერებს. მათ ჩემი სურვილი გავაცანი და შესაბამისად, ჩემი გადაწყვეტილება პოსტის დატოვების შესახებ მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა. პირადი საუბრის დროს, როგორც პრეზიდენტმა, ისე პრემიერმა მითხრა, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ თანამდებობაზე დარჩენილიყავი. – ამბობს ხარატიშვილი და დასძენს, რომ პრემიერი ინფორმირებული იყო ასევე იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში წასვლასაც გეგმავდა.

რა გახდა რეალურად ხარატიშვილის გადადგომის მიზეზი, თუ შეიძლება ითქვას, უდროო დროს? მართლაც მხოლოდ თვე-ნახევრის განმავლობაში მიიღო თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება? ამ კითხვებზე მან ჟურნალისტებს უპასუხა.

ხარატიშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ არც ერთი პოლიტიკური ძალის ზეწოლის შედეგად არ მიუღია.

– რაც შეეხება ზეწოლას, შემიძლია ვთქვა, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდგომ მხოლოდ ერთი ფაქტი იყო. გახსოვთ, ალბათ, აჭარაში მომხდარი მოვლენები, როცა ცესკოს კომპლექტაციის საკითხი დადგა ეჭვქვეშ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ეს იყო აშკარად რეგიონული ხელისუფლების ინიციატივა და არა ცენტრალურის. ასე რომ, თუ ამ ეპიზოდს არ ჩავთვლით, პრაქტიკულად, ყოველგვარი ზეწოლის ფაქტს უარვყოფ. მე ხაზგასმით მადლობა გადავუხადე პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ ივანიშვილს, რომ ამ რთულ, კოჰაბიტაციურ, ორხელისუფლებიანობის პირობებში ორივემ საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებით, მოგვცა საშუალება, ადმინისტრაციას დამოუკიდებლად ემოქმედა. – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ჩაურევლობისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდის.

ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარემ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ არჩევნებზეც ისაუბრა.

– თავდაპირველად, მინდა, მოკლედ განვმარტო ჩემი, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის მიზეზები. ამ პოსტზე ჩემი მუშაობისას პერიოდში, ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები და რაც მთავარია, ყველაზე რთული და იმავდროულად, ყველაზე წარმატებული 2012 წლის პარლამენტის არჩევნები, რითაც საქართველომ გადადგა წინ ნაბიჯი დემოკრატიული განვითარების მიმართულებით. ამიტომ მინდა, ხაზგასმით გადავუხადო მადლობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს, ათეულ ათასობით ადამიანს თავდადებული შრომისთვის, მათთან მუშაობა ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო. ასევე მადლობის სიტყვით მივმართავ სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მედიას, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, ყველას, ვისთანაც მომიწია საქმიანობა ჩემი მუშაობის პერიოდში. ასევე, მინდა, პირადად მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ სააკაშვილს და პრემიერ ივანიშვილს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მხარდაჭერისა და ჩაურევლობისთვის, რამაც უზრუნველყო ადმინისტრაციის შეუფერხებელი საქმიანობა. – განაცხადა ხარატიშვილმა.

ვინ იქნება ცესკოს ახლი თავმჯდომარე? ეს საკითხი ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. გავრცელებული ხმებით პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ თანხმდებიან საერთო კანდიდატზე.

ხარატიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ცსკ-ის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმებას წამყვანი პოლიტიკური ძალები ჩვეულებრივზე მეტი პასუხისმგებლობით მიუდგებიან.

– დღეისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისია კარგად შეკრული გუნდია და ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ შეუფერხებლად ჩაატაროს მომავალი არჩევნები, თუკი არ იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული პოლიტიკური ტორპედირება და ვიმედოვნებ, ეს ასე არ მოხდება. ჩემი გადადგომით პრობლემა არ ექნებათ საარჩევნო სუბიექტებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და რაც მთავარია, ამომრჩევლებს. ამით პრობლემა მხოლოდ წამყვან პოლიტიკურ ძალებს შეიძლება შეექმნათ გარკვეული უხერხულობა და ეს არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმებული არჩევანის გაკეთება. იმედს გამოვთქვამ, რომ ორივე მხარე ამ საკითხს ჩვეულებრივზე მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება. – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ხარატიშვილი აცხადებს, რომ ცესკოში პროფესიონალები მუშაობენ და თავმჯდომარის გარეშეც გაართმევენ თავს 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. თუმცა, ამ შემთხვევაში რამდენად ჩაითვლება არჩევნების შედეგი ლეგიტიმურად ამაზე არ უსაუბრია. რაც შეეხება თავად მის მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში, ამის შესახებ ხარატიშვილი დაახლოებით ორ კვირაში გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მისი გადაწყვეტილებით ამ საკითხთან დაკავშირებით, ის ცალსახად ჩამოყალიბებული არ არის და მაზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

– ეს ამჟამად მხოლოდ საუბრის დონეზე განიხილება. აქ მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა პოლიტიკურ ძალებთან მოხდება მოლაპარაკება. მოლაპარაკება იქნება იმ ძალებთან, რომლებიც მარგინალური შეხედულებების მქონე არ არიან. რეალურად პოლიტიკური კონსულტაციები მას შემდეგ დაიწყება, რაც ის პრინციპები ჩამოყალიბდება, რის გარშემოც ახალი პოლიტიკური ცენტრი გაერთიანდება. – განაცხადა ხარატიშვილმა.

ზურაბ ხარატიშვილს ჰკითხეს, მისი გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულ შტატებში მის ვიზიტს ხომ არ უკავშირდებოდა. როგორც ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე აცხადებს, მის ვიზიტს არავითარი კავშირი არ აქვს მიღებულ გადაწყვეტილებასთან და ეს მხოლოდ საარჩევნო პროცესის უკეთ ორგანიზებას და ბიულეტენის დათვლის ახალ ტექნოლოგიების გაცნობას უკავშირდებოდა.

– ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა ხნის წინ ძირითადად საქმიანი იყო. ეს დაკავშირებული იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჩემს საქმიანობასთან, კერძოდ, საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა-გაცნობასთან. ხაზს ვუსვამ, რომ ჩემს გადაწყვეტილებასთან ამ ვიზიტს არავითარი კავშირი არ აქვს. – აცხადებს ხარატიშვილი.

გუშინ ზურაბ ხარატიშვილმა დეპუტატ კობა დავითაშვილის ბრალდებებსაც უპასუხა იმის შესახებ, რომ მან, როგორც ცესკოს თავმჯდომარემ, პასუხისმგებლობა აიცილა თავიდან.

– იმედი მაქვს, რომ კობა დავითაშვილი ოდესმე გახდება გენერალური პროკურორი და ჩემს შავბნელ საქმეებს გამოიკვლევს. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. – ამბობს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე.

საპატრულო პოლიციის რებრენდინგი მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლშიც განხორციელდა



საპატრულო პოლიციის რებრენდინგი თბილისის, ბათუმისა და კახეთის შემდეგ,

მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლშიც განხორციელდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის მთავარ სამმართველოებს დღეს ახალი საპატრულო მანქანები ოფიციალურად გადაეცა.

აღნიშნული ღონისძიება მცხეთაში გაიმართა და მას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ. მცხეთა-მთიანეთში საპატრულო პოლიციის ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდა“-ს მარკის 9 ახალი ავტომანქანით შეივსო. ასევე, გაფართოვდა მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალიც. საპატრულო ეკიპაჟები ახლა უკვე დუშეთშიც დაიწყებენ პატრულირებას.

შიდა ქართლში კი 16 ახალი ავტომანქანა გაიგზავნა. იქიდან გამომდინარე, რომ თბილისი-გორის ავტომაგისტრალის კილომეტრაჟი გაიზარდა, ხოლო მოძრაობა ცალმხრივი გახდა,

საპატრულო პოლიციამ აღნიშნულ მონაკვეთზე ეფექტური მუშაობის მიზნით კიდევ 2 საპატრულო ეკიპაჟი დაამატა.

ორივე რეგიონში პატრულ-ინსპექტორებს სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ელექტროშოკები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით) და სხვა აღჭურვილობა გადაეცათ.

ნიუსპრესი

„ოლეგ იაძე ხელფასის სახით 2650 ლარსა და ამავე რაოდენობით პრემიას ყოველთვიურად იღებს“

კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე ხელფასის სახით 2650 ლარსა და ამავე რაოდენობით პრემიას ყოველთვიურად იღებს, – განუცხადა „მედიანიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ ქართული სოფლის“ წარმომადგენელმა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა.

ოფიციალური სახელფასო დოკუმენტი, სადაც კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისა და მისი თანამშრომლების ხელფასებია მითითებული, გამგეობიდან ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ ქართულმა სოფელმა“ გამოითხოვა. როგორც „მედიანიუსს“ ორგანიზაციის წევრმა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა განუცხადა, გამგეობის მთლიანი კოლექტივიც სოლიდური პრემიებითაა წახალისებული. „თუ გავითვალსიწინებთ, რა სოციალური ფონია რეგიონებში, ეს საკმაოდ დიდი თანხებია. ხელფასი აიღონ, ჯამაგრის გარეშე არ უნდა იმუშაონ, მაგრამ საქმე უნდა აკეთონ. რამდენიმე დღის წინ მომხდარი დაპირისპირებაც სახელფასო დოკუმენტის გამოთხოვის ფაქტსაც უკავშირდება. ჩვენ არამარტო სახელფასო სხვადასხვა აქტები გვაქვს გამოთხოვილი მათი საქმიანობის შესახებ და ამ ინფორმაციის გასაჯაროვება გვინდა, რომ საზოგადოებას წარვუდგინოთ“,- აღნიშნა ბეჟიტაშვილმა კასპის გამგეობლის მოვალეობის შემსრულებლისა და მისი თანამშროლების სახელფასო დოკუმენტს ორგანიზაცია „ ქართული სოფელი“ უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს.

მედიანიუსი

ცენტრალური საარჩევნო კომისია საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ნათია ხურცილავა

ზურაბ ხარატიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც ცესკოში აცხადებენ, მიმდინარედ სამუშაოებს ხელს არ შეუშლის. ცესკომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა წევრი მუშაობას აგრძელებს.

– მას შემდეგ, რაც თანამდებობა დატოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები გავრცელდა.

გვინდა, სიცხადე შევიტანოთ შექმნილ ვითარებაში და განვაცხადოთ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა წევრი აგრძელებს მუშაობას. ცენტარლური საარჩევნო კომისია დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელიც კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული და მისი ხელმძღვანელის ცვლილება საარჩევნო პროცესზე გავლენას ვერ მოახდენს. ყველა საარჩევნო პროცედურა გამჭვირვალედ, სამართლიანად და კანონის შესაბამისად ჩატარდება. – ნათქვამია განცხადებაში.

ცესკოს ადმინაისტრაცია უარყოფს გავრცელებულ ხმებს ცესკოს საქმიანობაში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

– მოსაზრებები, რომელთა თანახმად მოსალოდნელია ცვლილებები ცსკ-ის საქმიანობაში, საფუძველს მოკლებულია და ვთხოვთ მედიასაშუალებათა წარმომადგენლებს, გაითვალისწინონ ეს ფაქტი.

ჩვენთვის დასანანია ბატონი ზურაბის გადაწყვეტილება, თუმცა მასთან ერთად განხორციელებულმა გარდაქმნებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ადმინისტრაციის მართვის სისტემა და შესაბამისად, ამ მიმართულებით სირთულეები მოსალოდნელი არ არის. – აღნიშნულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებაში.

ირაკლი ალასანია ამერიკელ გენერლებს შეხვდა

გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ევროპაში ამერიკის სახმელეთო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ დონალდ კემპბელს და აშშ-ს საზღვაო ქვეითთა სარდლის მოადგილეს, გენერალ რიჩარდ ტრაიონს შეხვდა.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა აი-

საფ-ის მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მომავალში ერთობლივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გენერლებმა, ავღანეთის მისიაში ქართველების მონაწილეობისთვის მინისტრს მადლობა გადაუხადეს და ქართველი სამხედროების მომზადების დონეს მაღალი შეფასება მისცეს.

შეხვედრისას საუბარი შეეხო აისაფ-ის მისიის მიმდინარეობასა და კოალიციის სამომავლო გეგმებსაც. თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა პოსტ აისაფ-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობაზე.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანიამ გენერალ შალიკაშვილის სახელობის მართვის ცენტრიც მოინახულა.

ნიუსპრესი

თავდაცვის მინისტრმა დაჭრილი ქართველი სამხედრო მოინახულა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ავღანეთში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე მოინახულა. რამაზ დავითაიასთან ირაკლი ალასანია, გერმანიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა. კაპრალი მკურნალობის კურსს ჰაიდელბერგის კლინიკაში გადის.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჯარისკაცმა იგრძნოს, რომ დაფასებულია და სახელმწიფო მათზე ზრუნავს. ბატონი დავითაიაც არის ჩვენი გმირი, რომელიც ავღანეთში დაიჭრა. მიხარია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით პროგრესია. უახლოეს პერიოდში ველოდებით მის დაბრუნდებას საქართველოში, სადაც ის რეაბილიტაციას გააგრძელებს. ჩვენი, საზოგადოების და სახელმწიფოს ვალია, რომ თითოეულ ასეთ გმირ ვაჟკაცს მოვუფრთხილდეთ და შევუქმნათ ყველა პირობა ცხოვრების ღირსეულად გასაგრძელებლად“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ კაპრალ დავითაიასთან შეხვედრის შემდეგ.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენერალ შალიკაშვილის სახელობის მართვის ცენტრიც მოინახულა.

ნიუსპრესი

უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები დღეს გაიმართება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები დღეს გაიმართება.

არჩევნებში მონაწილეობას, რეგისტრირებული 14 კანდიდატიდან 13 კანდიდატი (ვლადიმერ პაპავა, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ბარამიძე, ილია თავხელიძე, ცირა ბარამიძე, მერაბ ცაგარელი, ირმა რატიანი, მედეა ჩუხუა, მარინა მუსხელიშვილი, მანანა ხაჩიძე, ინესა მერაბიშვილი, ნონა წოწერია და დავით გოცირიძე) მიიღებს, რადგან რეგისტრირებულმა კანდიდატმა მარინე ჩიტაშვილმა, 14 აგვისტოს, საარჩევნო კომისიას კანდიდატურის მოხსნის განცხადებით მიმართა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თსუ ასოცირებული პროფესორის დავით ბოსტოღანაშვილის განცხადებით, საარჩევნო უბანი 13.30 საათზე გაიხსნება, კენჭისყრა კი 14.00 საათზე დაიწყება და 16.00 საათამდე გასტანს. საარჩევნო კომისიის 9 წევრიდან 7-თსუ თანამშრომელია, ხოლო 2 წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების („საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, და „ახალი თაობა-დემოკრატიული არჩევნები“) წარმომადგენელია. საარჩევნო პროცესს 9 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დააკვირდებიან.

ახალი რექტორი ფარული კენჭისყრით აირჩევა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს -7 ხმას მიიღებს. თუ 7 ხმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, მაშინ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას. არჩეული რექტორი უფლებამოსილების შესრულებას აკადემიური საბჭოს მიერ ოქმის დამტკიცების შემდეგ შეუდგება.

ამჟამად უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ალექსანდრე კვიტაშვილი ასრულებს.

ნიუსპრესი

ვარდების მოედანს — მერაბ კოსტავას, ხოლო თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდება

თბილისის საკრებულო, დედაქალაქის რამდენიმე ქუჩისა და ასევე თბილისის აეროპორტისთვის სახელის გადარქმევას გეგმავს. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, დღევანდელ ევროპის მოედანს 100 000 ქართველი მოწამის სახელი ეწოდება.

ეს ინიციატივა უკვე შესულია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში და მას 19 აგვისტოს, რიგგარეშე სხდომაზე გაიტანენ.

19 აგვისტოს სხდომაზე იგეგმება ასევე აეროპორტისთვის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება, ხოლო დღევანდელი ვარდების მოედანს, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სახელი ეწოდება.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის უსაფრთხოების მინისტრი მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრ იცხაკ აჰარონოვიჩს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრაზე ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას საქართველოს მთავრობას და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი იცხაკ აჰარონოვიჩი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის დელეგაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საწვრთნელ ბაზას დაათვალიერებს და საჩვენებელ ღონისძიებას დაესწრება.

მედინაიუსი

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ ნაფიცთა საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ მესამე ყრილობის ჩატარებიდან შემდგომ პერიოდში მის რიგებს, გარდაცვალების გამო გამოაკლდა ორგანიზაციის თავმჯდომარე, მოადგილე და ნაფიცთა საბჭოს წევრთა საბჭოს თითქმის ერთი მესამედი. ამ ტრაგიკულმა მოვლენამ განაპირობა ლემის აქტიური საქმიანობის შენელება, პრაქტიკულად ფუნქციონირება შეწყვეტილი ჰქონდათ პირველად და რეგიონალურ ორგანიზაციებს.

პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ მიერ წარსულში გაწეული მუშაობის და ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ანალიზის შედეგად, ნაფიცთა საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია „ლემის“ განახლება, მთელი სისრულით ამოქმედება და მისი დიდი შესაძლებლობების ქვეყნის სამსახურში ჩაყენება.

ამ მიზნით, ნაფიცთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმდინარეობს პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციების განახლება, ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენელთა არჩევნები. რესპუბლიკურ ნაფიცთა საბჭოს ხელმძღვანელობით, აქტიურ ფაზაშია შესული სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ მორიგი ყრილობისათვის მზადება. ყრილობის ჩატარება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში, შემდეგი დღის წესრიგით:

1. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ ახალი წესდების მიღება;
2. სამოქმედო პროგრამის დამტკიცება;
3. „ლემის“ ნაფიცთა საბჭოს წევრებისა და თავჯდომარის არჩევა.

„ლემის” უზენაეს მიზანს და უმთავრეს პროგრამულ ამოცანას წარმოადგენს აქტიური მონაწილეობის მიღება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მოქმედების უმთავრესი პრინციპი იქნება ეროვნული ინტერესების დაცვა.

„ლემი“ მზადაა მხარში ამოუდგეს ახალ ხელისუფლებას, ქვეყნაში სამართლიანობისა დამკვიდრებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში. სახალხო დიპლომატიის ფართოდ გამოყენებით მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია აფხაზი და ოსი ძმების შემოსარიგებლად.

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ ნაფიცთა საბჭო ქართული საზოგადოებრიობის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ცალკეულმა პიროვნებებმა, „ლემის“ ყოფილი თავჯდომარის აკაკი გასვიანის ხელმძღვანელობით ბოლო პერიოდში წამოიწყეს დესტრუქციული საქმიანობა ორგანიზაციის მისამართით. ისინი ცდილობენ ცილი დასწამონ და სახელი გაუტეხონ ნაფიცთა საბჭოს წევრებს და ზიანი მიაყენონ „ლემს“, მის ერთობას.

ისინი „ლემის“ სახელით აწყობენ სრულიად გაუგებარ შეკრებებს. ამ შეკრებებში მონაწილეობას ღებულობენ ის პირები, რომელთაც „ლემთან“ არასდროს ქონიათ კავშირი. პირიქით ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი დესტრუქციული ქმედებებით „ლემთან“ მიმართებაში.

ა. გასვიანმა და მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა თვითმარქვიათა მცირე ჯგუფმა უხეშად დაარღვია „ლემის“ წესდება, უფრო მეტიც მათ უღალატეს და ღვთისა და ქვეყნის წინაშე დადებულ ფიცს.

მოვუწოდებთ „ლემის“ ყველა წევრს, უკლებლივ, აქტიური მონაწილება მიიღონ „ლემის“ აღორძინების საშვილიშვილო საქმეში. გაიარონ ხელახალი რეგისტრაცია ძირეულ ორგანიზაციებში. დიდი გულისხმიერებით მოეკიდონ ადგილებზე ნაფიცთა საბჭოების არჩევნებს. მხარი დაუჭირონ ღირსეულთა შორის ღირსეულებს, რომელთათვისაც უზენაესი ცხოვრებისეული პრინციპი იქნება ქვეყნის ინტერესებისა და ადამიანის ღირსებების დაცვა.

„ლემის“ ნაფიცთა საბჭო მოუწოდებს მამულისათვის გულანთებულ პატრიოტებს, ყველა დაინტერესებულ პირს, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხი განვიხილოთ ყრილობაზე, ტრადიციების ერთგულების, დემოკრატიულობისა და სამართლიანობის ნიშნით.

ისრაელის უსაფრთხოების მინისტრი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ესტუმრა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა იცხაკ აჰარონოვიჩმა და ისრაელის დელეგაციის წევრებმა, გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საწვრთნელი ბაზა დაათვალიერეს და საჩვენებელ ღონისძიებას დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრები ეწვევიან აგრეთვე გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ს და აღნიშნული სამსახურის მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნობიან.

გუშინვე, ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრ იცხაკ აჰარონოვიჩთან.

მხარეებმა უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრაზე ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას საქართველოს მთავრობას და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ისრაელის დელეგაციის ვიზიტი 18 აგვისტოს დასრულდება.

ნიუსპრესი

შს მინისტრი ჩემპიონ სპორტსმენ პოლიციელებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ, „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ გამარჯვებულ სპორტსმენ პოლიციელებს შეხვდა და გამარჯვება პირადად მიულოცა.

შს მინისტრმა ჩემპიონ პოლიციელებს I და II ხარისხის მედლები – „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“, მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

მინისტრის ინიციატივით, საქართველო წელს ოლიმპიადაზე პირველად გაემგზავრა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება და პოლიციელების ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებაზეა ორიენტირებული.

შს სამინისტროს 16-მა თანამშრომელმა, 1-12 აგვისტოს, ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში გამართულ „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადა“-ზე სპორტის 7 სახეობაშის იასპარეზა და 12 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქართველი პოლიციელები, რომლებსაც წარმატებული სპორტული კარიერა ჰქონდათ და დღესაც აქტიურად არიან ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ოლიმპიადის განმავლობაში მსოფლიოს მოქმედ და ყოფილ ჩემპიონებს შეხვდნენ და საპრიზო მედლები მოიპოვეს.

კრივში ოქროსმედალოსანმა ედუარდ იმერლიშვილმა, რომელიც შს მინისტრის პირადი დაცვის წევრია, ფინალურ ორთაბრძოლაში ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა. ასევე დაძაბული ბრძოლა ჰქონდათ მეტოქეებთან ძიუდოისტებს და მკლავჭიდელებსაც, რაც ქართველი სპორტსმენი პოლიციელების გამარჯვებით დასრულდა.

შ ე გ ა ხ ს ე ნ ე ბ თ, რომ ოქროს მედალოსნები გახდნენ – ედუარდ იმერლიშვილი – (კრივი), ზვიად ჩინჩალაძე – (ძიუდო), ნოდარ მჭედლიშვილი – (ძიუდო), ზაზა გულაშვილი – (ძიუდო), გიორგი ბოლოთაშვილი – (ძიუდო), იოსებ ხუციშვილი – (თავისუფალი ჭიდაობა), , თენგიზ ედილაშვილი – (მკლავჭიდი (2 მედალი), ვლადიმერ კობახიძე – (მკლავჭიდი (2 მედალი) და ლევან საგინაშვილი – (მკლავჭიდი (2 მედალი).

ვერცხლის მედალოსნები არიან გიორგი ბერძენიშვილი – (ცურვა), უშანგი კუზანაშვილი – (ძიუდო) და ვასილ მინდორაშვილი – (ძალოსნობა).

ბრინჯაოს მედლებს კი ავთო მამალაძე – (ძალოსნობა) და გელა გელაშვილი – (მკლავჭიდი) დაეუფლნენ.

ნიუსპრესი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნება?

მერი ნამორაძე

უახლოეს მომავალში რუსეთის ბაზარი, შესაძლოა, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვისაც გაიხსნას. გუშინ საქართველოს რუსეთის ფედერაციის სოფლის

მეურნეობის სამინისტროს უწყების, „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებიც სურსათის უვნებლობის სისტემითა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე სერტიფიკატის გაცემის მექანიზმით დაინტერესდნენ.

რუსეთის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მიმდინარე წლის მაისში მოსკოვში სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ჩეკურაშვილმა და ქართველმა სპეციალისტებმა „როსსელხოზნადზორის“ ხელმძღვანელ სერგეი დანკვერტთან და უწყების სხვა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი გამართეს და ფიტოსერტიფიკატების ნიმუშები გაცვალეს.

საქართველოში ვიზიტისას რუსი სპეციალისტები კახეთსა და დასავლეთ საქართველოს ეწვევიან. გაიმართება შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში. ვიზიტისას ძირითადი აქცენტი აკრედიტებული ლაბორატორიების მუშაობაზე გაკეთდება, თუმცა დაგეგმილია საწარმოებში ვიზიტიც, რითაც ქართული მხარე თავის რუს კოლეგებს ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კონტროლის მთელ ჯაჭვს გააცნობს.

დასავლეთ საქართველოში ვიზიტი აჭარაში დასრულდება, ხოლო 21 აგვისტოს რუსეთის დელეგაცია საქართველოს დატოვებს და მოამზადებს დასკვნას, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, უნდა გაუქმდეს „როსსელხოზნადზორის“ 2006 წლის ბრძანება საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რუსეთის ფედერაციაში შეტანის აკრძალვაზე.

აღსანიშნავია, რომ „როსსელხოზნადზორმა“ 2013 წლის 28 ივნისიდან უკვე გააუქმა საქართველოდან დაბალი რისკის შემცველი პროდუქციის იმპორტზე აკრძალვა.

საქართველო და რუსეთი საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის განახლებაზე შეთანხმდნენ

საქართველოსა და რუსეთს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა განახლდა. აღნიშნული გადაწყვეტილება იქნა მიღებული შეხვედრაზე 2013 წლის 6-7 აგვისტოს ქ. მოსკოვში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და რუსეთის ფედერაცის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის.

შეხვედრას ესწრებოდნენ რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს წარმომადგენლები.

როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნებს შორის საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების აღდგენა არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს 1994 წლის 3 თებერვალს ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განხორციელების შესაძლებლობები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების შეჩერების გამო, ორ ქვეყანას შორის საავტომობილო გადაზიდვებით ძირითადად დაკავებულები არიან აზერბაიჯანის, თურქეთის და სომხეთის გადამზიდავები და ყურადღება უნდა გამახვილდეს ეროვნული გადამზიდავების აქტივიზაციის მიზნით, სათანადო ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე.

ქართულმა მხარემ პრინციპულად დააყენა საავტომობილო მიმოსვლის აღდგენისათვის ქართველი მძღოლებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების აუცილებლობის საკითხი, რაზედაც მიღწეულია იქნა რუსული მხარის თანხმობა საკითხის უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყვეტის თაობაზე.

მხარეებს შორის პირველ ეტაპზე გაიცვალა 500 ერთეული სატვირთო გადაზიდვის ნებართვა 2013 წლისათვის, რაც საშუალებას მისცემს ქართველ გადამზიდველებს გადაზიდონ ტვირთი რუსეთის მიმართულებით და მისი ტერიტორიის გავლით. მოხდა ასევე შეთანხმება მესამე ქვეყანაში ტვირთის გადაზიდვის ნებართვების გაცვლის თაობაზეც.

მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება რეგულარული საავტობუსო მიმოსვლის აღდგენის შესახებ საქართველოსა და რუსეთის ქალაქებს შორის, რაც შეწყვეტილი იყო 2006 წლიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო მზადყოფნას გამოთქვამს, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე რუსეთის მიმართულებით საავტომობილო მიმოსვლისათვის საჭირო დოკუმენტაციითა და ნებართვებით.

მედიანიუსი

რატომ იღებდნენ მეწარმეები სოციალურ დახმარებას

მერი ნამორაძე

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ ატეხილი აჟიოტაჟი, რომელმაც სოციალური დახმარება ასობით ბენეფიციარს შეუჩერა, წარსულს ჩაბარდა. სააგენტოს მესვეურებმა საზოგადოება, მით უმეტეს სოციალურად დაუცველები, გააფრთხილეს, რომ მუდმივი კონტროლისთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. კანონით, ფულადი დახმარების დანიშვნის უფლებას მოიპოვებს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ყველა ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს. თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57001-ზე და განხორციელდა საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურა, ფულადი დახმარება ინიშნება ერთსულიანი ოჯახის შემთხვევაში – 60 ლარის ოდენობით; ორი და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში – ოჯახის უხუცეს წევრზე 60 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე – 48 ლარი.

ამჯერად სოცმომსახურების სააგენტომ სოცდაუცველთა ბაზაში მეწარმეები აღმოაჩინა. კარგა ხანია, ნოე ქინქლაძის უწყება შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობს. ამ უკანასკნელმა სოციალურად დაუცველთა ბაზაში შესულ ოჯახებზე მოკვლევა დაიწყო. სააგენტოს ხელმძღვანელ ნოე ქინქლაძის განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიის ოჯახები მეწარმეები არიან, აქვთ შემოსავალი და სოციალურ დახმარებას მაინც იღებენ. როგორც ქინქლაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, სოციალური დახმარების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2012 წლის განმავლობაში ამ ოჯახებზე მილიონ ლარზე მეტი გაიცა. ქინქლაძე ამბობს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობას აგრძელებს და მიღებულ მონაცემებს გადასცემს.

სოციალურად დაუცველთა ბაზაში არც მეტი, არც ნაკლები, 1400 მეწარმე აღმოჩნდა. ბარაქალა ჩვენს დაუცველებს, ამოდენა გაქანებით თუ ჰქონიათ. ქინქლაძის განცხადებით, სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებდნენ პირები, რომლებიც მეწარმეებად არიან დარეგისტრირებულნი და რომელთა წლიური შემოსავალი 50 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე მერყეობს. აგვისტოში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვეს ინდმეწარმეების 2012 წლის შემოსავლების (ბრუნვის) შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეადარეს საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ბაზასთან, რის შემდეგადაც გაირკვა, რომ საარსებო შემწეობის მიმღები აღმოჩნდა 1402 პირი, სულ 1300 ოჯახი, რომლებიც ამავე 2012 წელს ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას და მათი წლიური ბრუნვის მაჩვენებელი აღემატება იმ მინიმუმს, რაც, წესით, უნდა ჰქონდეთ სოციალურად დაუცველებს. ინფორმაციის თანახმად, ერთი ინდმეწარმის წლიური ბრუნვა ერთ მილიონ ლარზე მეტს აღემატებოდა; 4 ინდმეწარმის ფულადი ბრუნვა 500 000-დან 1 მილიონამდე ლარს შეადგენდა; სამ ინდმეწარმეს 300 000 და 500 000 ლარამდე ჰქონდა, 4 ინდმეწარმეს – 250 000-დან 300 000 ლარამდე ბრუნვა; 7 ინდმეწარმეს – 200 000-დან 250 000 ლარამდე ბრუნვა; 4 ინდმეწარმეს წელიწადში 100 000-დან 200 000 ლარამდე ბრუნვა ჰქონდა, 88 ინდმეწარმეს – 50 000-დან 100 000 ლარამდე ბრუნვა და 1275 ინდმეწარმეს წელიწადში 50 000 ლარამდე ბრუნვა ჰქონდა.

ნოე ქინქლაძის თქმით, აღნიშნულ ოჯახებსა და ინდმეწარმეებს აგვისტოდან შეუჩერდებათ საარსებო შემწეობის გაცემა და უახლოეს პერიოდში განხორციელდება ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

დახმარების შეუჩერებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ ბენეფიციარებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან აგვისტოში არამიზნობრივად 304 274 ლარი დაიხარჯებოდა.

„ჩვენ რამდენიმე ოჯახში ვიყავით, ვინც ამ ბაზაშია. ზოგი ადასტურებს, რომ მას ფირმა აქვს, ზოგი კი ამბობს, რომ ამ ფირმის უკან სხვა პირები დგანან. ეს კიდევ ცალკე მოკვლევის თემაა“, – აცხადებს ქინქლაძე. მისი თქმით, ინდმეწარმეები დეკლარაციებს წელიწადში ერთხელ აბარებენ და მათთან არსებული მონაცემები მხოლოდ 2012 წლისაა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ამბობს, რომ სააგენტო სოციალურად დაუცველის მიერ მეწარმეობის დაწყების წინააღმდეგი არაა, მაგრამ, მისი თქმით, შემოსავლების დამალვა არ უნდა ხდებოდეს.

კანონით, ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზები შეიძლება გახდეს ოჯახის განცხადება; ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება; ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილება. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი გადამოწმება შესაძლებელია ოჯახში დემოგრაფიული ცვლილების შემთხვევაში, დასაქმებისა და ლეგალური შემოსავლის გაჩენის შემთხვევაში; საცხოვრებელი ადგილის ცვლილებისას შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისას ან რაიმე სხვა მიზეზით, რომელიც ადასტურებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებით ცვლილებას. ეს უკანასკნელი კი ყველაზე მეტად ეზარებათ ჩვენს სოციალურად დაუცველებს, რადგან მოჭარბებულად ნამდვილად არ მიიჩნევენ სახელმწიფოს შემწეობას.

სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვედრილი ოჯახების უფლება-მოვალეობებს რაც შეეხება, ისინი ვალდებულნი არიან, მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში (დილის 8:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე) დაუბრკოლებლად შეუშვან სააგენტოს უფლებამოსილი პირი თავის საცხოვრებელ ბინაში, მისცენ მას საშუალება, სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი თუ საერთო სარგებლობის სათავსოები, შეამოწმოს ყოფითი პირობები; ობიექტური პასუხები გასცენ უფლებამოსილი პირის შეკითხვებს და არ დაამახინჯოს ფაქტები, მოთხოვნისამებრ წარადგინონ საჭირო დოკუმენტები, ხელი მოაწერონ გამოკითხვის შედეგად შევსებულ დოკუმენტს, განსხვავებული აზრის არსებობისას დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები; სააგენტომ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს, რაც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას. სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია უნდა გახდეს საჯარო.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, ფულად სოციალურ დახმარებას ვერ მიიღებენ ოჯახის ის წევრები, რომლებიც, მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიუხედავად, სოციალური დახმარების დანიშვნისთვის არიან:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი; ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომლების სამხედრო სამსახურის შესრულებისას პერიოდულად (სამ თვეში ერთხელ მაინც) ბრუნდება ოჯახში; ოჯახიდან სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი; სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი; ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი. ოჯახს არ აქვს უფლება, საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს დევნილის ყოველთვიური შემწეობა.

გორში მდინარეში დამხრჩვალი მოზარდი იპოვეს

გორში, კომბინატის დასახლებაში, მდინარე მტკვარში დამხრჩვალი 16 წლის მოზარდის ცხედარი იპოვეს.

როგორც ,,მედიანიუსს“ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურში განუცხადეს, მოზარდი შემთხვევიდან 25 წუთში სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იპოვეს.

თვითმხილველების ინფორმაციით, მოზარდი მდინარეში თევზაობდა, როდესაც წყლის დინებამ გაიტაცა.

მედიანიუსი

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალები უახლოეს დღეებში განადგურდება

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალები უახლოეს დღეებში განადგურდება.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა, მასალები გუშინ უნდა განადგურებულიყო, თუმცა ეს პროცესი რამდენიმე დღით გადაიდო, რადგან ამ საკითხზე მომუშავე კომისიის ყველა წევრი საქართველოში არ იმყოფება.

„შეთანხმებისამებრ, მასალები დღეს უნდა განადგურებულიყო, მაგრამ ვინაიდან კომისიის ყველა წევრი არ იმყოფება საქართველოში, ალბათ რამდენიმე დღით გადაიდება განადგურება. პროცედურა დაწყებულია, ჩვენ ყველა საჭირო პროცედურა გავიარეთ. მზად ვართ. გადაწყვეტილება არ შეცვლილა. პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალები აუცილებლად განადგურდება უახლოეს დღეებში, როგორც კი კომისიის ყველა წევრი იქნება საქართველოში“, – განაცხადა შს მინისტრმა.

მედიანიუსი

დავით საგანელიძე: „რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში ბუფერი არ უნდა სჭირდებოდეთ“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში ბუფერი არ უნდა სჭირდებოდეთ.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს და რუსეთს ერთმანეთთან აქვს ისეთი დიდი ისტორიული, კულტურული, სამეცნიერო, ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია, რომ სასაუბროდ რომელიმე სხვა ქვეყანა არ უნდა სჭირდებოდეს.

,,ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ბუფერის როლს, ბოლო პერიოდში, შვეიცარიის სახელმწიფო ასრულებდა, ძირითადად ურთიერთობების მედიატორი შვეიცარიის საელჩო იყო, იმის ბრალია, რომ ჩვენ და რუსეთს პოლიტიკური ნება, ცოდნა, უნარი არ გვეყო, რომ ურთიერთობის გზები მოგვეძებნა და ყველა ძაფი არ გადაგვეჭრა. ამიტომ, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პრობლემა დაიძლიოს, პირდაპირ გვქონდეს საშუალება, ვესაუბროთ რუსეთს იმ ენაზე, იმ პრობლებზე, რაც ჩვენ გვჭირდება და რომელიც ჩვენთვის მისაღებია – ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველო უნდა იყოს ერთიან საზღვრებში, არ უნდა არსებობდეს წართმეული ტერიტორიები, საკუთარი სახლებიდან დევნილები“, – განაცხადა საგანელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც მან განმარტა, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში ჩართული უნდა იყოს მესამე ქვეყანა, როგორიცაა ამ შემთხვევაში შვეიცარია.

,,ჩვენ ვართ მეზობლები და ვერავინ გეოგრაფიას ვერ გამოგვიცვლის“, – აღნიშნა საგანელიძემ.

მედიანიუსი

იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციები გაიყო

იუსტიციის მინისტრის ბრძანებებით, რომლებიც საკანონმდებლო მაცნეში 14 აგვისტოს გამოქვეყნდა, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ფუნქციები ახლებურად ჩამოყალიბდა, ხოლო მთავარ პროკურატურაში ახალი გენერალური ინსპექცია შეიქმნა.

იუსტიციის სამინისტროს გენინსპექცია იუსტიციის მინისტრს, ხოლო მთავარი პროკურატურის გენინსპექცია მთავარ პროკურორს დაექვემდებარება.

ამიერიდან, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ამოწმებს თუ რამდენად ეფექტურად არის დაცული კანონის მოთხოვნები საკუთრივ სამინისტროსა და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების (იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, ეროვნული არქივი, ნოტარიუსთა პალატა, საკანონმდებლო მაცნე, დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრი, სმართ ლოჯიქი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი) თანამშრომლების მხრიდან – მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.

ასევე, სამინისტროს გენერალური ინსპექცია უზრუნველყოფს ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენას, სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლს, ამოწმებს კერძო აღმასრულებლებისა და ნოტარიუსების საქმიანობის კანონთან შესაბამისობას, ახდენს სამინისტროსა და სსიპ-ებში საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლს).

ამასთან, იუსტიციის სამინისტროს გენინსპექცია იძიებს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომლების (გარდა პროკურატურის მუშაკისა) მიერ ჩადენილ სამოხელეო დანაშაულებს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება, განმარტების, ჩვენების და დასკვნის მიცემის იძულება, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, სამსახურებრივი სიყალბე, სამსახურებრივი გულგრილობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება).

რაც შეეხება მთავარ პროკურატურაში ახლად შექმნილ გენინსპექციას, ის ყველა ზემოჩამოთვლილ საქმიანობას, პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ განახორციელებს. ამიერიდან მხოლოდ ის იქნება უფლებამოსილი შეისწავლოს პროკურატურის თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებული მოქალაქეთა საჩივრები და მისი უფლებამოსილება იქნება სრული მოცულობით გამოიძიოს პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი ნებისმიერი კატეგორიის დანაშაული.

ნიუსპრესი

ნოდარ ხადური ჩინეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ჩენ ჯიანფუსთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

შეხვედრისას, მხარეებმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს ჩინეთის მხარდაჭერაზე, რომელსაც ის საქართველოს მთავრობას უწევს, მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების დაფინანსების კუთხით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა პარტნიორობის იმ დინამიკით, რომელიც ამ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის არსებობს და აღნიშნა, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

მინისტრმა ელჩს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთი, როგორც საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი, ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

ნიუსპრესი

ევროკავშირის ქვეყნებში მოქალაქეობის მოთხოვნის მიხედვით, კავკასიის მასშტაბით საქართველო ლიდერობს

ევროპის სტატისტიკის ბიურომ იმ მოქალაქეთა შესახებ გამოაქვეყნა მონაცემები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის განმავლობაში თავშესაფარს ეძებდა.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით თავშესაფარი ევროკავშირში სულ 86 105-მა ადამიანმა ითხოვა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით – 8 435 ადამიანი, რუსეთის მოქალაქე იყო.

რუსეთის კვალდაკვალ არიან სირიის მოქალაქეები – 8 395 ადამიანი, ავღანეთის – 5 880, პაკისტანის – 4 310, სომალის – 3 430, კოსოვოს – 3 380, სერბეთის – 3 330, ირანის – 3 265, ერაყის – 2 740, ნიგერიის – 2 320 და საქართველო – 2 230 მოქალაქე.

კავკასიის მასშტაბით, ევროკავშირის ქვეყნებში მოქალაქეობის ძიების მაჩვენებლით, საქართველო ლიდერობს, მეორე ადგილზე გავიდა სომხეთი 1 355 ადამიანით, ხოლო აზერბაიჯანიდან ევროკავშირის მოქალაქეობა სულ 650 ადამიანმა ითხოვა.

მოქალაქეობის მსურველებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნები საფრანგეთი და გერმანიაა.

ნიუსპრესი

პოლიტკენგურუს სინდრომი საქართველოში

როლანდ ხოჯანაშვილი

საქართველოში, ბოლო ათეული წლებია, შედარებით უკეთ ცხოვრებისთვის პოლიტიკაში აქტიურობდა სჯობდა, ვიდრე თოხის და ბარის ცემა. ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც თითქმის ყველა ცნობილი პარტია აქვს გამოცვლილი და თან მომგებიანადაც: კომუნისტების დროს ლენინის იდეებს აღიარებდა, მერე მოქკავშირელი და აღორძინებულიც იყო, ლეიბორისტიც, ახლახან ,,ნაციონალი" და თორთლაძის პარტიის წევრიც. ძალიან ძნელია, დაარქვა ასეთ ხტუნვას ჭეშმარიტების ძიება, ან კიდევ პარტიული შესაძლებლობების სამშობლოსთვის გამოყენების აუცილებლობა, რადგან პოლიტიკური ქამელეონების უმეტესობას ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ ჭეშმარიტება (ან ქართულ პოლიტიკაში ჭეშმარიტებას რა უნდა?!) და სამშობლოს არც სოხუმთან გამოსდგომია, არც ერედვთან. ასეთი პრეცედენტების გამო ძალიან ბევრს მოუნდა იოლი ცხოვრება, რომელსაც პარტიულობით შეიძლება მიაღწიო.

ახლა ატყდა აჟიოტაჟი, ბურჯანაძის პარტიაში გადავიდნენ თუ არა ,,ქართული ოცნების" წევრები. კახეთისა და გურიის ბურჯანაძის კოორდინატორებმა სიცრუე თქვესო, აცხადებენ მეოცნებეები, მაგრამ სიცრუე ნაკლებად მგონია. რატომ უნდა გაგვიკვირდეს ეს ფაქტი, როცა თავად ,,ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი ადრე ბურჯანაძესთან იყო ახლო პოლიტიკურ ურთიერთობაში? მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ და რამდენი ,,ოცნებელი" არის ახლა ამრეზილი იმის გამო, რომ სავარძლები ვერ მიიღეს? ვინც კი ,,ოცნების" სასარგებლოდ დაახველა, ან კიდევ დროშის ტარი დაიჭირა, ყველას თანამდებობა მოუნდა, – ეს არაერთს უთქვამს. მართალია, ,,ქართული ოცნების" წარმომადგენლების ნაწილს გააზრებული აქვს, რომ ,,გაგებით უნდა მოეკიდონ" და ოქტომბრის ბოლომდე კოაბიტაციის დასასრულს დაელოდონ თანამდებობების მისაღებად. მერე, სავარაუდოდ, ან პარტიული ნიშნით გააძევებენ ძველ ადმინისტაციულ რესურსებს (რაც ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ,,ნაციონალური მოძრაობის" წევრები აქტიურად ცოცავენ ,,ქართული ოცნების" რიგებისკენ), ან კიდევ ჩატარდება ნანატრი კონკურსი და ატესტაცია თანამდებობების დასაკავებლად, რომელსაც როგორ და ვინ ჩაატარებს, არავინ იცის ჯერ კიდევ.

ასეთი პერსპექტივა არ ხიბლავთ იმ ადამიანებს, რომლებიც ბიძინას იმედით შესცქეროდნენ სიცხესა და წვიმაში, ბეშუმსა და თბილისში. ძალიან ბევრი იდგა აქციებზე იმ მოლოდინით, რომ სადღაც სიღმეში მინახულ დიპლომს გამოიყენებდა და კაბინეტში მუშაობით აიღებდა ხელფასს. სახალისოდ შეიძლება მოგეჩვენოთ ეს ფაქტი, მაგრამ უფრო ტრაგიკულია, ვიდრე კომიკური: ერთ მუნიციპალიტეტში ,,ოცნების" კოორდინატორმა ტალახი დააყენა–დამასაქმეთ, თორემ ცოლთან და ორ შვილთან ერთად გამგეობის წინ წამოვწვები და შიმშილობას დავიწყებო. ანგარიში გაუწიეს მის ,,დამსახურებას" და ერთ ტერიტორიულ ორგანოში ხელშეკრულებით დაასაქმეს, თუმცა მალევე დაიწუნა: სახლიდან შორსაა და ხელფასიც ცოტააო. ამის მერე ხელშეკრულება შეუწყვიტეს და სასწრაფოდ ისევ იფეთქა მისმა რევოლუციურმა ხასიათმა–სხვა პარტიაში შევალ და ნახავთ, ჩემი დროც მოვაო. ამის შემდეგ ნამდვილად აღარ ვიცი, ვის პარტიაში შევიდა, მაგრამ ასეთებისაგან შევსებული პარტიის რიგები რომ არ იქნება მონოლითური, ცხადია.

ადრე ვწერდი და ხმამაღლაც ვამბობდი, რომ ,,ქართულ ოცნებას", როგორც პარტიას, დიდი დღე არ უწერია, თუკი ასე ხელგაშლით ჩაიხუტეს ყველა და მანდატი ჩაუდეს ჯიბეში–მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ და კომუნისტური პარტიის ყველაზე უსწავლელი ნაწილიც კი იდეოლოგიურ განათლებას ავლენდა. მათ იცოდნენ, რომ ლენინი ღმერთი იყო (პარტიული თვალსაზრისით) და კომპარტიის მოქმედი გენერალური მდივანი ლენინის მოციქული. მართალია, მოციქულები მოკლე პერიოდებში იცვლებოდნენ ხოლმე, მაგრამ ლენინის გარდაცვალების თარიღიც კი მიჩქმალულიც ჰქონდათ, რადგან ღმერთი იბადება, მაგრამ არ კვდება! ახლა კი, როცა საკრებულოების უმრავლესობაში არსებული ნაციონალები შაგრენის ტყავივით დაპატარავდნენ რაოდენობრივად (თვისობრივადაც), ადგილობრივ თვითმმართველობის წევრებმაც წითელ-თეთრი დროშის ნაცვლად ლურჯი გამოფინეს აივნებზე, რაც ხელისუფლების წყაროს, ხალხს, ზედმიწევნით აღიზიანებს.

,,ქართულ ოცნებას" შეხიზნული მედროვეები პარტიის სიმყარეს ვერ განაპირობებენ. რატომ შევიდნენ ,,ქართულ ოცნებაში" არაერთი? იმიტომ, რომ სკამების მოლოდინი ჰქონდათ. რატომ გამორბიან ახლა იქიდან? მხოლოდ იმიტომ, რომ იქნებ სხვა პოლიტიკური ძალა მოვიდეს და ისევ სკამების პერმანენტული მოლოდინია!

იდეოლოგია, რომელიც პარტიის ერთიანობის საფუძველი უნდა იყოს, ,,ქართულ ოცნებას" არ გააჩნია. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობის პარტიაა და არა ათეულობით, კანდიდატები არ საუბრობენ ასეთი ლექსიკით:"ეხლა მე სამჭკუაშვილი ვარ, ქრისტე კი არა, რომ ერთ თვეში რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს. იქნება, იქნება ყველაფერი."

ადრე წერდა ,,ახალი თაობა", რომ იდეოლოგია განაპირობებს ,,რესპუბლიკური პარტიის" სიმყარეს და 35 წლიან ისტორიას. ,,ქართული ოცნების" წევრების 98%-ს, დარწმუნებული ვარ, რომ არ ეცოდინება ამ პარტიის სტრუქტურა, წესდება და სხვა პარტიული დეტალები.

პოლიტიკური დათბობა ქართულ სინამდვილეში პარტიული კენგურუების წარმოშობას უწყობს ხელს. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების მერე გადახტომა-გადმოხტომებიც იქნება და ცოცვაც. მთავარი ხომ მაინც ადვილად ცხოვრების სურვილია პოლიტკენგურუებისთვის! ის კი უეჭველია, რომ კენგურუს სინდრომი საქართველოს არაფერში არგია.

თავდაცვის სამინისტრო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშზე განმარტებებს აკეთებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამოეხმაურა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშს, რომელიც სხვადასხვა უწყებაში, მათ შორის თავდაცვის სამინისტროში საკადრო ცვლილებსბს შეეხება. „მედიანიუსი" თავდაცვის სამინისტროს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წლის 12 აგვისტოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ", რომელშიც აღნიშნულია, რომ 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ 690 თანამშრომელი გაათავისუფლა და 1116 ახალი თანამშრომელი დანიშნა. ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს სტატისტიკა „სამინისტროს მხოლოდ იმ თანამშრომლებს ეხება, რომლებიც სამოქალაქო პირები არიან".

პირველ რიგში, მივესალმებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" დაინტერესებას თავდაცვის სამინისტროში და ზოგადად, საქართველოს საჯარო სექტორში საკადრო პოლიტიკით. თავდაცვის სამინისტროსთვის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა, მისი გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტიანობის გაზრდა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რაც „მინისტრის ხედვა 2013-2014"-შიც არის ხაზგასმული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ინფორმაციაში ნათქვამია, რომ 2013 წლის 1 მარტამდე დანიშნული თანამშრომლების დიდი ნაწილი კონკურსის გარეშე დაინიშნა, თუმცა ამავე ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ისინი დროებით მოვალეობის შემსრულებლები არიან. მარტიდან, კონკურსის ორგანიზების სისტემის დახვეწის შემდეგ, სამინისტრომ ღია კონკურსების გამოცხადება დაიწყო. კონკურსები გამოცხადდა ისეთ მაღალ თანამდებობებზე, როგორიცაა დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, სამმართველოების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, მთავარი სპეციალისტები და ა.შ. კონკურსები ეტაპობრივად ცხადდება. მეორე ღია კონკურსი ახლაც მიმდინარეობს. ღია კონკურსის გამოცხადება სექტემბერშიც იგეგმება. დეტალური ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროში ჩატარებული ღია კონკურსების შესახებ სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. კონკურსები, როგორც წესი, სამ ეტაპიანია: განცხადების შეფასება, ტესტირება და გასაუბრება. გასაუბრება სწორედ იმ პრინციპების დაცვით ტარდება, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშის რეკომენდაციების თავშია მოცემული.

ღია კონკურსები ტარდება თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებშიც – ეროვნულ თავდაცვის აკადემიასა და გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

ვინაიდან 1 მარტამდე კონკურსის გარეშე დანიშნული თანამშრომლები დროებით მოვალეობის შემსრულებლები არიან, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2014 წლის 1 იანვრამდე ღია კონკურსები მათ თანამდებობებზეც გამოცხადდება.

აქვე გვინდა, რამდენიმე შესწორება შევიტანოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაში. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდში თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისიდან 37 სამოქალაქო პირი გათავისუფლდა. მათგან 35-მა განცხადება დაწერა, ხოლო 2 დისციპლინარული დარღვევის გამო იქნა დათხოვნილი. ამ პერიოდში თავდაცვის სამინისტროში 54 პირი დაინიშნა, მათგან 21 – ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ხოლო 33 – დაბალ პოზიციებზე.

შეიარაღებული ძალებიდან გათავისუფლდა 129 სამოქალაქო პირი და დაინიშნა 365. გათავისუფლებული თანამშრომლებიდან 117 პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა, 2 – დისციპლინარული დარღვევის გამო, 2 გარდაიცვალა, 8-ს კი კადრებით განკარგულების ვადა ამოეწურა.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, კადეტთა ლიცეუმს არავინ გაუთავისუფლებია და არავინ დაუნიშნავს. გორის სამხედრო ჰოსპიტალმა 21 სამოქალაქო პირი გაათავისუფლა (19 – პირადი განცხადების საფუძველზე, 2 – დისციპლინარული დარღვევის გამო) და 1 დანიშნა. ეროვნული თავდაცვის აკადემიამ 23 პირი გაათავისუფლა (11 – პირადი განცხადების საფუძველზე, 1 – დისციპლინარული დარღვევის გამო და 11-ს ხელშეკრულების ვადა გაუვიდა) და 45 დანიშნა.

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრმა „დელტამ" 142 პირი გაათავისუფლა (29 – პირადი განცხადების საფუძველზე, 2 – დისციპლინარული დარღვევის გამო, 108-ს ხელშეკრულების ვადა გაუვიდა, 2-მა სამუშაო შეიცვალა, 1 გარდაიცვალა) და 43 დანიშნა.

ჯამში თავდაცვის სისტემიდან გათავისუფლდა 352 სამოქალაქო პირი და დაინიშნა 508. სულ ამ სისტემაში შტატით 4 542 სამოქალაქო პირია.

შესაძლოა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაში, სამოქალაქო პირების გარდა, სამხედრო მოსამსახურეებიც არიან შეყვანილები. 2013 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდში ასამდე სამხედრო მოსამსახურე გათავისუფლდა და რამდენიმე ასეული დაინიშნა. გათავისუფლებულთა დიდ უმრავლესობას ხელშეკრულების ვადა გაუვიდა. დანიშნულთა (აღდგენილთა) შორის კი, ძირითადად, ის სამხედროები არიან, რომლებიც წინა წლებში შეიარაღებული ძალებიდან უსამართლოდ დაითხოვეს და რომლებმაც სამინისტროს აღდგენის თხოვნით მიმართეს. აღდგენების საკითხს გაერთიანებულ შტაბში შექმნილი სპეციალური კომისია განიხილავდა", – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში..

მედიანიუსი

როგორ იცავენ საქართველოში საავტორო უფლებებს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი და სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში უნდა იმოქმედოს ჟურნალისტმა, თუ ის შეეცდება, სხვისი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოები გამოიყენოს.

– როგორია თქვენი ორგანიზაციის სამომავლო გეგმები?

– ჩვენი ორგანიზაცია უახლოეს მომავალში გამოსცემს ჟურნალისტების უბის წიგნაკს. ეს არის ძალიან კომფორტული უბის წიგნაკი, რომელიც შეიცავს დეტალურ აღწერას იმ უფლებებისა, რაც ჟურნალისტს შეეხება და ასევე იმ უფლებების, რაც ზოგადად არსებობს საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებთან დაკავშირებით. ეს უბის წიგნაკი ასევე ითვალისწინებს გარკვეული სახის გამონაკლისებსაც, რომელიც კანონმდებლობით არსებობს და ეს არის ის გამონაკლისები, რომელიც ნებისმიერ პირს და მათ შორის ჟურნალისტს, საავტორო ჰონორარის გადახდისაგან და ასევე ნებართვის აღებისგან ათავისუფლებს. თუ ის საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს იყენებს. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ ილუსტრაცია, ციტირება, ასევე მიმოხილვითი ხასიათის საინფორმაციო გადაცემების შექმნა და ა.შ. გარკვეული სახის გამონაკლისების, რომელიც დეტალურად იქნება აღწერილი ამ უბის წიგნაკში და ჟურნალისტს შეექმნება ზუსტი წარმოდგენა რა უფლებები აქვს ავტორს, ეს იქნება პირადი ქონებრივი უფლებები, არაქონებრივი უფლებები, რა შემთხვევაში უნდა დაიცვას ჟურნალისტმა საავტორო უფლებები, რა შემთხვევაში – არა, აბსოლუტურად ვრცელი და საკმაოდ საინტერესო ხასიათის პატარა უბის წიგნაკი იქნება, რომელსაც ნებისმიერ დროს კომფორტულად ატარებს ჟურნალისტი და ნებისმიერ დროს მისთვის საინტერესო თემას აუცილებლად ამოიკითხავს.

საავტორო უფლებების დაცვის თემაზე ჟურნალისტებს უფლებადამცველთა გაერთიანების იურისტი და ადვოკატი **ბაია ოტიაშვილიც** ესაუბრა:

– დღეს საქართველოში რა მდგომარეობაა საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ყველასთვის ცნობილია. აღნიშნული კანონი რეგულირდება მანამდე, კონსტიტუციასთან ერთად. სამოქალაქო კოდექსით მიღებულია კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, 1998 წლიდან ცოტა სახეცვლილებით, მას შემდეგ შევიდა რამდენიმე ცვლილება. აღნიშნული კანონის რეალიზაციას ანუ დაცვას, ახორციელებს საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით 2008 წლიდან შეიქმნა და ამ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ თვითშეგნება ამ კუთხით ქართველ საზოგადოებაში ნამდვილად ამაღლდა. ის, რომ სხვის სახელს პატივს, ღირსებას, სხვის უფლებას ვცეთ პატივი, ბოლო პერიოდში, რა თქმა უნდა, პროგრესია. მანამდე აღინიშნა კიდეც, ის, რასაც ვერ ვხედავთ, არ ვეხებით, არ აღვიქვამთ, არ გვეგონა, რომ იყო საავტორო უფლება ანუ სახელის ტარების უფლება. ვინც თვლის, რომ არ აქვს თავისი სახელის ტარების უფლება, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს ორიდან ერთ-ერთი ან ორივე ანუ მოვთხოვოთ მას პატივისა და სახელის უფლების აღდგენა და კომპენსაციაც. კომპენსაციის ოდენობა არ არის დადგენილი, უნდა იყოს მინიმუმი, თუ უნდა იყოს მაქსიმუმი. მსოფლიოში აპრობირებულია, რომ მილიონებს ითხოვენ. საქართველოში ეს ასე არ არის. იყო ასეთი პრაქტიკა, რომ სიმბოლურად ითხოვდა ერთ ლარს, ერთი ლარის დაკმაყოფილებასთან ერთად მას დაევალა ბოდიში მოხდა.

ყველასთვის ცნობილია, რომ ინტელექტუალური საკუთრების მითვისება მსოფლიოში გავრცელებული დანაშაულია და ის თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება. მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად იქმნება უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია. 1983 წელს პრაღაში შეიმუშავეს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის პრინციპები, სადაც გათვალისწინებულია, რომ მან პატივი უნდა სცეს ინტელექტუალურ საკუთრებას. ეს პრინციპი ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერაც. მედიის წარმომადგენლები აღიარებენ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებასა და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც თან ახლავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობას. საავტორო უფლება არის ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი სახე, რომელიც ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობას გულისხმობს, რომელიც, შესაბამისად, ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე. საავტორო უფლებებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

როგორც კანონშია აღნიშნული, კანონში მედიის საავტორო უფლებები ძირითადად გადმოცემულია მე-14 მუხლში: „დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოებების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გამოცემის, გამომცემლის ავტორის თანხმობის გარეშე“.

ამავე კანონის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მედია გამოიყენებს ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებულ ექსკლუზიურ მასალას, აუცილებელია დაიმოწმოს ის გაზეთი თუ ჟურნალი, სადაც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა. კანონში, რომელიც საავტორო უფლებებს იცავს, არაფერია ნათქვამი ინტერნეტ-მედიაზე და, შესაბამისად, ამ სფეროში არც რეგულაციები არსებობს.

როგორც ჟურნალისტებისთვის გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, პლაგიატი ქართულ მედიაში დიდ სირთულეს წარმოადგენს. მისი აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი მხარეებს შორის არ არის შეთანხმება და მოლაპარაკება არ შედგა, დაზარალებულ მხარეს აქვს უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს, რადგან ავტორმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი საავტორო უფლების დასაცავად და მოახდინოს რეაგირება მისი უფლების დარღვევაზე. პლაგიატის შემთხვევაში, მას შეუძლია, თავი დაიცვას სამოქალაქო სამართლებრივი წესით. შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს მის უფლებას, ასევე, შესაძლებელია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც, თუკი ადგილი ჰქონდა მისი რეპუტაციისა და ღირსების შელახვას. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის, გამომცემლის ანდა ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

უცხოეთის ქვეყნებს შორის საფრანგეთი წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს, სადაც საავტორო უფლებები განსაკუთრებით მაღალ დონეზეა აყვანილი. პირველი დოკუმენტიც, ბერნის კონვენცია, მიღებულ იქნა ფრანგი კლასიკოსების მიერ, რადგან მათი მთავარი პრობლემა პლაგიატი იყო. თანამედროვე ეპოქაში, როცა ინტერნეტი ფართოდ გამოყენებადია, საავტორო უფლებების დარღვევა გვევლინება ინტერნეტ-პლაგიატების სახით, რაც უამრავი ადამიანისთვის წარმოადგენს პრობლემას. აშკარაა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი ამ კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საავტორო უფლებებს, იძლევა იმის საშუალებას, რომ დაცული იყოს ავტორის უფლებები. პრაქტიკაში მისი განხორციელება საკმაოდ რთულია, ალბათ, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ საავტორო უფლების მქონე პირები არ მიიჩნევენ სერიოზულ პრობლემად ამ ფაქტს, იმისთვის, რომ საზოგადოებას ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეეცვალოს, აუცილებელია, ცნობიერების ამაღლება, რათა მათ უკეთ გაიგონ რა სარგებლის მოტანა შეუძლია საავტორო უფლებების დაცვას და რომ საკუთარ ნაწარმოებ უფლებების დაცვა კანონიერად შეუძლიათ.

რეგიონალური ჟურნალისტებისთვის გამართულ სემინარზე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძემ** კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებულ დავებზე და ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილ პრობლემებზე ისაუბრა:

–საქართველოში მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ პოლიტიკა, სამწუხაროდ, არაადეკვატური იყო და რეალურად შემიძლია ვთქვა, დანაშაულებრივიც, ვინაიდან ხდებოდა უხეში ჩარევა კულტურულ მემკვიდრეობით ძეგლებზე, არ ხდებოდა საზოგადოების, ექსპერტების სპეციალისტების პოზიციების გაზიარება. ამის დასტურია თუნდაც ბაგრატის ტაძარი, როდესაც ყველა მოუწოდებდა ხელისუფლებას: ექსპერტები, სპეციალისტები, საპატრიარქო, იუნესკო, რომ ისინი გაჩერებულიყვნენ, არ მოეხდინათ ამ ძეგლის იმგვარად რეკონსტრუქცია, რომ რეალურად ამისი ავთენტურობა დაკარგულიყო და, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ იქნა გაზიარებული და ჩვენ დავკარგეთ ეს ძეგლი, იმ კუთხით, რომ აღარ არის ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ანუ იუნესკომ ამოიღო ეს თავისი სიიდან, რაც საკმაოდ ცუდი ფაქტია და, მე ვფიქრობ, რომ ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ ადამიანებს, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებდა. როდესაც გა-

მოდიოდა კულტურის მინისტრი, ამ შემთხვევაში წინა მინისტრზე გვაქვს საუბარი, მედიის მხრიდან უნდა დასმულიყო კითხვები, რატომ არ იყენებთ საერთაშორისო ტრიბუნას, იმ კონვენციებს, რომლებზეც მიერთებული ვართ. ეს საზღვრისპირა შემთხვევებზე მაქვს საუბარი, მაგრამ ქვეყნის შიგნით არსებულ შემთხვევებზეც, ხელისუფლებასთან უნდა დასმულიყო კითხვები. პრინციპში, ბაგრატთან დაკავშირებით მედიას რაც შეეძლო გააკეთა, უბრალოდ, ამ ადამიანს ვერაფერი გააგებინეს. იუნესკომაც უთხრა, საპატრიარქომაც, მაგრამ ბოლომდე მიიყვანა და ბაგრატის ტაძარი 21-ე საუკუნის ძეგლად აქცია. ამიტომაც ამოღებულ იქნა ის სიიდან და რომ დაცლოდათ კიდევ სხვებსაც მიუყენებდნენ ამ გზას. ზოგადად, ძალიან ხშირად ხდება უხეში ჩარევები სხვადასხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს და ამით გარკვეულწილად პრობლემები იქმნება, როგორც თბილისის შემოგარენში, ასევე მთელ საქართველოში. რეალურად ძეგლები არის ისეთი თემა, რომლებშიც აუცილებლად უნდა იყოს ჩართული საპატრიარქო, სპეციალისტები და საელჩო. სამწუხაროდ, ამის განხორციელება არ ხდებოდა.

– რა მდგომარეობაა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ძეგლებზე?

– პრობლემა გვხვდება არა მარტო შიგნით ქვეყანაში, არამედ იმ ტერიტორიებზე, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, იგივე თურქეთში და დავით გარეჯში. საქართველო შესაბამის საერთაშორისო კონვენციებს მიერთებული ქვეყანაა. არსებობს თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პირველი პირების ხელმოწერილი დოკუმენტი თანამშრომლობის შესახებ. რეალურად აქ გვაქვს ჩვენ ისეთი დოკუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია გავაპროტესტოთ და ჩავრთოთ იუნესკო, საერთაშორისო სტრუქტურები, იმაში, რაც თურქეთში ხდება. თურქეთში წაშალეს ქართული კვალი. რეალურად იქ გაანადგურეს ის, რაც იყო მანიშნებელი იმისა, რომ ეს ქართული ძეგლები იყო, რეალურად, იქ რკინაბეტონის კონსტრუქციებით აშენებენ კედლებს და ჩამოფხიკეს ყველაფერი.

– საქართველოს ხელისუფლებამ ამის შეჩერება არ მოითხოვა?

– მართალია, ხელისუფლების მხრიდან იყო მოწოდება, რომ შეჩერებულიყო, მაგრამ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სწორედ ამ კუთხით მუშაობდნენ, არ იყვნენ გამოყენებულნი და ჩართულნი ამ პრობლემაში. მეზობელ ქვეყნებთან ჩვენი ძალთა თანაფარდობა სხვადასხვაა, მაგრამ, როდესაც შენს კვალს შლიან, ამაზე რაღაც საერთაშორისო მიმართულებითაც უნდა იაქტიურო. საერთაშორისო ტრიბუნა უნდა გამოიყენო, რაც არ იყო და არ არის დღესაც გამოყენებული. იგივე, რაც დავით გარეჯთან მიმართებით ხდება, ესეც აღმაშფოთებელია, იქ რაღაც სამუშაოები დაიწყეს. იგივე აფხაზეთთან, ილორთან დაკავშირებით. მესმის, ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ტერიტორიას, მაგრამ იქ, სადაც ვაკონტროლებთ, სამწუხაროდ, აქაც განადგურება ხდება. იგივე შემიძლია გითხრათ სვეტიცხოველთან დაკავშირებით, შეიძლება ამხელა ძეგლზე ასეთი უხეში ჩარევა?! სვეტიცხოველში კონდიციონერები დააყენეს, ადრე დრენაჟი იყო გაკეთებული, ამოყარეს. ზოგადად, ქალაქი მცხეთა სერიოზული პრობლემის წინაშეა, იმიტომ რომ ამ მიმართულებით იქაც აქტიური ჩარევა ხდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იქნეს დაცული. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის მარტო ეკლესია-მონასტრები. არის ასევე პარკები, სკვერები შენობები. ჩვენ გვქონდა ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში უნიკალური ხეები მოჭრეს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოსნიას რევანში აუღო

ბოსნია 78:81 საქართველო

26:18, 15:26, 19:15, 18:22

საქართველო: ცინცაძე (6ქ, 4მ), ჰიკმანი (10), ფაცაცია (2ქ, 5მ), სანიკიძე (19ქ, 8მ), შერმადინი (9ქ, 7მ); ლეჟავა (9), ფხაკაძე (10), სანაძე (7), მეტრეველი (4), ცქიტიშვილი (5), ბოისა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიის ქალაქ იესენიცეში გამართულ ამხანაგურ მატჩში ბოსნია დაამარცხა. გუშინ ქალაქ ცელიეში 63:68 წაგების შემდეგ ქართველებმა რევანში აიღეს და ექსიუგოსლავიელები დაძაბულ ბრძოლაში – 81:78 დაამარცხეს.

ისედაც ტრავმებით დასუსტებულ საქართველოს ნაკრებს მანუჩარ მარკოიშვილი აკლდა, ხოლო მეორე მეოთხედის შუაწელში ნატურალიზებული რიკი ჰიკმანიც გამოაკლდა. ამერიკელმა უკანახაზელმა ფეხი ამოიბრუნა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ჰიკმანმა 13 წუთი ითამაშა და მოედანი რომ დატოვა, 10 ქულა უკვე მოგროვებული ჰქონდა.

ჰიკმანის არყოფნაში მეორე მეოთხედში სათადარიგო უკანახაზელებმა იყოჩაღეს. ოთარ ფხაკაძემ, ბესო ლეჟავამ და დუდა სანაძემ ჩვენს ნაკრებს ძალიან საჭირო ქულები შემატეს და საბოლოო წარმატებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დაიდეს.

მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. ქართველები ქულით აგებდნენ, როცა ვიქტორ სანიკიძემ ჩვენიანის აცილებულს დაამატა და საქართველო 1 ქულით დაანინაურა. შემდეგ ბესო ლეჟავას მოუწია საჯარიმოების სროლა, რომელმაც ორივე ჩააგდო და ქართველებს გამარჯვება გაუნაღდა.

საქართველოს ნაკრები გუშინ ლიუბლიანაში დაბრუნდა და დღეს დილას პარიზის გავლით ქალაქ ანტიბში ჩავიდა, სადაც სერბეთთან და საფრანგეთთან ერთად საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

დავით უსტიაშვილი, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:

– რიკი ჰიკმანის ტრავმა რამდენად სერიოზულია?

– ჰიკმანმა ფეხი მეორე მეოთხედში ამოიბრუნა, როდესაც დაახლოებით 12 წუთი ჰქონდა ნათამაშები. ის სასწრაფოდ შევცვალეთ და საქმეში ექიმები ჩაერთვნენ. წინასწარი დათვალიერებით, სერიოზული ტრავმა არ ჩანს, რეალური სურათი კი ხვალ გამოჩნდება. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება და იგი ჩვენს ნაკრებს დაეხმარება.

– მის და ზოგადად საქართველოს ნაკრების თამაშზე რას იტყვით?

– ჰიკმანმა 12 წუთში 10 ქულა მოაგროვა და, ალბათ, გაცილებით მეტი ექნებოდა, ტრავმა რომ არ მიეღო. ის კარგი მოთამაშეა და, თუკი მწყობრში იქნება, დიდ დახმარებას გაგვიწევს. რაც შეეხება დანარჩენ კალათბურთელებს, ყველას გარჯით კმაყოფილნი ვართ, განსაკუთრებით ახალგაზრდების – ოთარ ფხაკაძისა და დუდა სანაძის. კარგად ითამაშა ბესიკ ლეჟავამაც. ამ 3 კალათბურთელის ანგარიშზე, ჯამში, 26 ქულაა.

– მატჩის გადამწყვეტი წუთები როგორ წარიმართა?

– ბოლო წუთზე 1 ქულით ვაგებდით, როცა შეტევა გავაცუდეთ, თუმცა ვიქტორ სანიკიძემ დაამატა და ქულით დაგვაწინაურა. შემდეგ დაცვაში ბურთი ავიღეთ და ბოსნიელები ლეჟავაზე დაჯარიმდნენ, რომელმაც მტკიცე ნებისყოფა გამოავლინა და ორივე საჯარიმო ჩააგდო. დარჩენილ წამებში ანგარიში აღარ შეცვლილა და საბოლოოდ 3 ქულით გავიმარჯვეთ. ხვალ საფრანგეთში მივემგზავრებით, სადაც 2 ძალიან ძლიერი მეტოქე გველოდება – სერბეთი და საფრანგეთი.

მაისურაძის შეგირდებმა პოლონელებს მეორედ ვერ აჯობეს

საქართველო – პოლონეთი 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

საქართველო: შერმადინი, ქებურია (კაკაბაძე 46), გურეშიძე, გაბაძე, კუსიანი (თევზაძე 28), გოროზია (პაპუნაშვილი 46), აბურჯანია, შენგელია (კიკაბიძე 67), ბერიძე, ახვლედიანი (ზარანდია 72), მზევაშვილი (ჯიქია 67)

პოლონეთი: პოგორჟელიჩი, სტოლარსკი, კლემენზნი, ვტოდარზიკი, დავიდოვიცი, ფრანკოვსკი (სებროვსკი 64), ზვირი,სიერპკა (ზიედოვიჩი 80), არაკი (იაგიეტო 75), პრჟიბილსკი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, რომელსაც ვასილ მაისურაძე ხელმძღვანელობს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პოლონელ თანატოლებს გუშინ მეორედ უმასპინძლა. პირველი თამაში მაისურაძის გუნდმა 3:0 მოიგო, თუმცა ამჯერად ფრედ 0:0 ითამაშა.

ჩვენი გუნდის თავკაცმა შეხვედრა იმ მოთამაშეებით დაიწყო, რომლებიც პირველ მატჩში სათადარიგოთა შორის იყვნენ. თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა: მსაჯმა ფეხბურთელებს 10-ჯერ უჩვენა ყვითელი ბარათი, მატჩის მიწურულს კი პოლონელი პაველ დავიდოვიჩი მეორედ გააფრთხილა და მოედანი დაატოვებინა.

მომენტები თითზე ჩამოსათვლელი იყო: ერთხელ პოლონელები დაემუქრნენ შერმადინის კარს, ორჯერ გოლის გატანა ქართველებს მართებდათ.

ეს იყო და ეს, მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთია, ვასილ მაისურაძის თქმით, მეორე მატჩში სხვა ფეხბურთელები გამოცადა, რათა საქმეში ყველა ენახა.

ფეხბურთი

ეჩ-2014. მესამეხრევი ეტაპი

ჩრ.ირლანდია-რუსეთი	1:0

ამხანაგური მატჩები

იაპონია-ურუგვაი	2:4
კორეა-პერუ	0:0
ტაჯიკეთი-ინდოეთი	3:0
რუანდა-მალავი	0:1
ინდონეზია-ფილიპინები	2:0
ყაზახეთი-საქართველო	1:0
ბელარუსი-ჩერნოგორია	1:1
აზერბაიჯანი-მალტა	3:0
ფინეთი-სლოვენია	2:0
ესტონეთი-ლატვია	1:1
ჩილე-ერაყი	6:0
ზამბია-სენეგალი	1:1
მოლდოვა-ანდორა	1:1
ლუქსემბურგი-ლიტვა	2:1
გაბონი-კაბო ვერდე	1:1
კოლუმბია-სერბეთი	1:0
რუმინეთი-სლოვაკეთი	1:1
თურქეთი-განა	2:2
უკრაინა-ისრაელი	2:0
შვედეთი-ნორვეგია	4:2
ლიხტენშტეინი-ხორვატია	2:3
ს.აფრიკა-ნიგერია	0:2
ავსტრია-საბერძნეთი	0:2
ბოსნია-აშშ	3:4
უნგრეთი-ჩეხეთი	1:1
ალბანეთი-სომხეთი	2:0
გერმანია-პარაგვაი	3:3
იტალია-არგენტინა	0:1
მაკედონია-ბულგარეთი	2:0
პოლონეთი-დანია	3:2
უელსი-ირლანდია	0:0
შვეიცარია-ბრაზილია	1:0
ინგლისი-შოტლანდია	3:2

შედეგები

ბელგია-საფრანგეთი	0:0
ალჟირი-გვინეა	2:2
პორტუგალია-ჰოლანდია	1:1
ტუნისი-კონგო	3:0
ისლანდია-ფარერები	1:0
მაროკო-ბურკინა ფასო	1:2
ეკვადორი-ესპანეთი	0:2
ვენესუელა-ბოლივია	2:2
მექსიკა-კოტ დივუარი	4:1

ეჩ-2015. მესამეხრევი ეტაპი(21)

უელსი-ფინეთი	1:5
ალბანეთი-ავსტრია	0:1
ისლანდია-ბელარუსი	4:1
ფარერები-ირლანდია	1:4
სლოვენია-ესტონეთი	0:1
სან მარინო-ლიტვა	0:1

ამხანაგური მატჩები(21)

ჩრ.ირლანდია-დანია	1:4
ლატვია-საქართველო	0:4
უნგრეთი-მალტა	1:0
ბულგარეთი-აზერბაიჯანი	3:1
სერბეთი-მაკედონია	4:1
ჩეხეთი-ჰოლანდია	1:0
შვედეთი-ნორვეგია	0:2
პორტუგალია-შვეიცარია	5:2

ბიაზიღია. სეჰია ა

ატლეტიკო(მ)-ბაია	2:0
კრისიუმა-ნაიუტიკუ	3:0
სანტოსი-ვასკუ	1:1
ვიტორია-პონტე პრეტა	3:1
კურიტიბა-პორტუგეზა	1:1
გოიასი-ფლამენგო	1:1
გრემიო-კრუზეირო	3:1
ფლუმინენსე-კორინთიანსი	0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მორიგი მარცხი – ამჯერად ყაზახებთან

ყაზახეთი – საქართველო 1:0

ასტანა. ასტანა არენა

1:0 ხიჟნიჩენკო (17)

ყაზახეთი: სიდელნიკოვი (მოკინი 46), მულდაროვი (გურმანი 46), კისლიცინი, ნურდალეტოვი, დმიტრენკო, ჟუმასკალიევი (ბაიჟანოვი 79), შომკო (ურინი 90), ბოგდანოვი, ხიჟნიჩენკო (ოსტაპენკო 62), კორობკინი, შჩოტკინი (ენგელი 69)

საქართველო: რევიშვილი, კაშია (შ.გრიგალაშვილი 82), ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, გრიგალავა (კვირკველია 64), კობახიძე, კანკავა, ოქრიაშვილი (მჭედლიძე 46), თარგამაძე (გელაშვილი 68), ანანიძე (ე.გრიგალაშვილი 46), სირბილაძე (დვალიშვილი 46)

„ასტანა არენაზე" გამართული მატჩი ორივე გუნდისთვის საკვალიფიკაციო შეხვედრებისთვის მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ. 6 და 10 სექტემბერს ყაზახეთის ეროვნული გუნდი ფარერის კუნძულებისა და შვედეთის ნაკრებებს შეხვდება, ქართველი ფეხბურთელები კი ფრანგებსა და ფინელებს თბილისში დაუპირისპირდებიან.

პარალელურად მატჩი ყაზახური ფეხბურთის 100 წლისთავს მიეძღვნა და მასპინძლებმა კარგი იუბილეც მოიწყვეს.

ეგ კი არა, ძალიან დიდი შანსი იყო, სულაც გამანადგურებელი ანგარიშით წაგვეგო. მართალია, მეორე ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად ჩვენი ნაკრები ფლობდა, მაგრამ მასპინძლები რამდენჯერ ჩვენ მხარეს გადმოვიდნენ, იმდენი ხიფათი შექმნეს – 3-ჯერ ნუკრი რევიშვილმა გადაგვარჩინა, ერთხელ კი – დავით კვირკველიამ. საქართველოს ნაკრებს კი, პირიქით, ერთი რეალური მომენტი არ შეუქმნია მეტოქის კართან. არადა, ასეთი სოლიდური უპირატესობა ქეცბაიას ხელში არც ერთ მეტოქესთან არ ჰქონია.

აქამდე ქეცბაიას დაცვით თამაშს ვუწუნებდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაკრების თავკაცს სწორი გეზი ჰქონია აღებული – ჩვენებს მეორე ნომრად თამაში უფრო ეხერხებათ, ვიდრე შეტევა, უჭირთ დროული პასი, სწრაფი გადაწყვეტილების მიღება მოედანზე, კომბინაციური თამაში და, რაც მთავარია, კარში დარტყმა. მოკლედ, ქეცბაიას შემსრულებლები არ ჰყავს.

არ გვინდა, ამით ქეცბაიას სამწვრთნელო პლუსებს გავუსვათ ხაზი, მასაც საკმაოდ აქვს შეცდომები, მაგრამ ჯოხის მარტო მწვრთნელზე გადატეხაც არ იქნება მართალი.

ერთი რამ ფაქტია: იშვიათი იმპროვიზაციის ხარჯზე (თუ ამის საშუალებას მეტოქეც მოგვცემს) შეუძლია საქართველოს ნაკრებს ფეხბურთის თამაში. პირველ ტაიმში კი აქცენტი საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთებზე კეთდებოდა, სადაც მხოლოდ სირბილაძე იდგა. ფინური „ინტერის" თავდამსხმელს კი არაფერი გამოდიოდა, ისევე, როგორც სხვა შემტევებს – ანანიძეს, ოქრიაშვილს, თარგამაძეს.

პირველ ტაიმში ჩავარდა დაცვაც და გოლიც მივიღეთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ უშეცდომო ისევ ვერ ვიყავით და ვერც მისი გამოსწორება შევძელით. დაცვას იაღლიში მეორე ტაიმში უფრო მრავლად ჰქონდა, მაგრამ ეს უფრო რისკიან თამაშზე იყო დამოკიდებული.

მეორე ტაიმში ქეცბაიამ „სისხლის გადასხმა" სცადა და მოედანზე სამი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა, თუმცა ჩვენი ნაკრების განლაგება (4-2-3-1) არ შეცვლილა, მაშინ როდესაც მოედანზე უკვე ორი ცენტრფორვარდი იდგა – მჭედლიძე და დვალიშვილი. ეს უკანასკნელი მარცხენა ფლანგზე დააყენა და „ლეგიას" შემტევი იქ თავს მაინცდამაინც კომფორტულად ვერ გრძნობდა.

ერთია, ბურთს ისევ ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ ყაზახები სწორად გვეთამაშებოდნენ, მარტივად გადმოდიოდნენ კონტრშეტევებზე და ამისთვის სულ არ ჭირდებოდათ ზედმეტი მოძრაობების გაკეთება.

მატჩის ბოლო ათ წუთში კი ჩვენი ნაკრების თავკაცი ვაბანკზეც წავიდა: ქეცბაიამ მარჯვენა მცველი გურამ კაშია „მოხსნა" და ჩვენი გუნდი 3-4-3 ტაქტიკაზე გადაეწყო, თუმცა სწორედ ამ პერიოდში იყო, მასპინძლებმა ორი უმწვავესი კონტრშეტევა რომ განახორციელეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ორჯერვე ჩვენმა მეკარემ იყოჩაღა.

მატჩის შემდეგ:

მიროსლავ ბერანეკი:

– მოედანზე დაინახავდით, ალბათ, რაც გავაკეთეთ. ჩვენ ჩვენი თამაშის ხარისხი და ინდივიდუალური ოსტატობა ვიცოდით. მოწინააღმდეგეები ძალიან ტექნიკურები და სწრაფები იყვნენ. ინდივიდუალურად კარგად მომზადებულები. იძულებულები ვიყავით, დაცვითი ფეხბურთი გვეთამაშა და სწრაფ კონტრშეტევაზე დაგვეჭირა მეტოქე. გადამწყვეტი გატანილი გოლი აღმოჩნდა. თუ არ ჩავთვლით ხიჟნიჩენკოს კარგ მომენტს. მეორე ტაიმს საქართველოს ნაკრები აკონტროლებდა. ჩვენ სწრაფ კონტრშეტევებს ვაკეთებდით და გვქონდა რამდენიმე მომენტი, რაც, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. მოხარული ვარ, რომ შვედეთისა და ფარერების ნაკრებებთან შეხვედრის წინ გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს გამარჯვება კი ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, რომელიც მოედანზე იყო და მის გარეთაც. მადლობა მათ ამისთვის და, იმედი მაქვს, ეს წარმატება მომდევნო შეხვედრების წინ რწმენას შეგვმატებს.

თემურ ქეცბაია:

– როგორ ფიქრობთ, რა არ გამოუვიდა თქვენს გუნდს?

– კარგი თამაში გამოვიდა. 90 წუთის განმავლობაში ვაკონტროლებდით თამაშს. მომენტები გვქონდა, თუმცა მათი რეალიზება ვერ მოვახერხეთ. მეტოქეს არაფერში ჩამოვრჩით. მოგებას თუ არა, ფრეს მაინც ვიმსახურებდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. ეს სექტემბერში გასამართ მატჩებამდე კარგი გამოცდა იყო. რთული ოფიციალური შეხვედრები გველის. ჩვენი მიზანი უცვლელია. ყაზახეთის ნაკრებს გამარჯვებას ვულოცავ. ყაზაზურმა ფეხბურთმა 100 წლის იუბილეზე კარგი საჩუქარი მიიღო.

– გაგაკვირვათ ყაზახეთის ნაკრების სწრაფმა თამაშმა?

– როდესაც არის ამის საშუალება, რატომაც არა? ამ დროს ყველაზე მთავარია, იპოვო თავისუფალი ადგილი. იყო მომენტები, როდესაც დაცვაზე ყურადღება არ უნდა მოგვედუნებინა. გვქონდა შეცდომები, თუმცა ჩვენ რიგ ეპიზოდებში გაგვიმართლა კიდეც. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა.

– როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოში ამხანაგური მატჩების მიმართ, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთ შეხვედრებში დაფიქსირებული შედეგი?

– ამ მატჩს ამხანაგურად არც მოვიაზრებდით. შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია. შეიძლება ჩვენ ერთ ჯგუფში არ ვთამაშობთ, მაგრამ ასეთი თამაშებით გარკვეულ ქულებს ვიღებთ, რაც წილისყრაზე კარგ ჯგუფში მოხვედრის შესაძლებლობას იძლევა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი მეშვიდე გასვლითი მატჩი გახლავთ. სტუმრად გამარჯვება გვიჭირს. ვიმედოვნებ, მომდევნო ამხანაგურ მატჩს შინ გავმართავთ.

– მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ რატომ შეცვალეთ ყველაზე აქტიური მოთამაშეები – ჯანო ანანიძე და თორნიკე ოქრიაშვილი?

– მინდოდა, თამაშის შესაძლებლობა ყველასთვის მიმეცა. არ ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში მოედანზე შესულმა მოთამაშეებმა უარესად ითამაშეს.

– დღევანდელი მსაჯობა როგორ მოგეწონათ?

– რადგან ეს კითხვა დამისვით, ე.ი. რაღაც თქვენც შენიშნეთ. კომენტარის გაკეთება არ მსურს. ყველაფერი ნათელი იყო.

– რამდენად მშვიდად გამოიყურებოდა თქვენი გუნდის დაცვის ხაზი მეორე ტაიმში? ყახაზებს მეორე გოლის გატანის შანსი კიდევ ჰქონდათ.

– მცველები შეტევაში გადადიოდნენ და უკან თავისუფალ ადგილებს ტოვებდნენ. ასე რომ, მეტოქის პასუხს კონტრშეტევებზე ვიღებდით. ნორმალურია, როდესაც ფეხბურთში რისკავ. ასეთი თამაშით წაგება შეურაცხმყოფელი არ გახლავთ. მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. მეტს ვუტევდით, ბურთს ვფლობდით, მაგრამ ანგარიშით 0:1 წავაგეთ.

– ყველას გვახსოვს 80-იანი წლების ქართული ფეხბურთი. რა არ ჰყოფნით საქართველოს ნაკრების ამჟამინდელ წევრებს იმისთვის, რომ მაშინდელივით ითამაშონ?

– მაშინ სხვა დრო იყო. მახსოვს, 1987 წელს აქ მეც ვითამაშე. მატჩი შუადღისას გაიმართა, ძალიან ცხელოდა და 0:3 წავაგეთ. ეს ფაქტია, ამის დამალვას აზრი არ აქვს. ახალგაზრდა მოთამაშეთა თაობას ველით. გვყავს ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე ითამაშეს. ეს ბიჭები საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ, ვიმედოვნებ, საქმეები უკეთესობისკენ წავა.

ახალგაზრდებმა ლატვია დაიბრიყვეს

ლატვია – საქართველო 0:4

იურმალა. სლოკა

0:1 ყაზაიშვილი (4), 0:2 კოზახიძე (14), 0:3 სხირტლაძე (27), 0:4 ყაზაიშვილი (35)

საქართველო: ნადირაძე (მეშველიანი 46), უბილავა, ტვილდიანი, მ.კობახიძე, კვერკველია, კვეკვესკირი, პაპავა, პარუნაშვილი (გიგაური 46), ყაზაიშვილი (დეკანოიძე 61), ჭანტურია (ჩაფიძე 72), სხირტლაძე (კაჭარავა 57)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ ლატვიის ქალაქ იურმალაში, ლატვიის 21-წლამდელ ფეხბურთელთა გუნდთან ამხანაგური შეხვედრა გამართა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა – 4:0.

ჩვენი გუნდი 35-ე წუთისთვის 4 ბურთით იგებდა: მე-4 წუთზე არნემის „ვიტესში" მოთამაშე ვაკო ყაზაიშვილმა გახსნა ანგარიში, მე-14 წუთზე გორის დილას მცველმა მამუკა კობახიძემ მეორედ დალაშქრა მასპინძელთა კარი, 27-ე წუთზე კი დანიის ორჰუსის ქართველმა ლეგიონერმა დავით სხირტლაძემ მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო 35-ე წუთზე ყაზაიშვილმა დუბლი შეასრულა – 0:4.

ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა წლეულს მეოთხე საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა და კვლავ დაუმარცხებელია. მარტში ქართველმა 21-წლამდელებმა ავსტრიაში საერთაშორისო ტურნირზე ალბანელებს 2:0 მოუგეს, აზერბაიჯანთან 1:1 ითამაშეს, მალაიზია კი 7:1 გაანადგურეს.

5 და 9 სექტემბერს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება: პირველ შეხვედრას ლუქსემბურგში ჩაატარებს, მომდევნოს კი – სლოვაკეთში. ამ გუნდების გარდა, ჩვენი გუნდის მეტოქეები ჰოლანდიელი და შოტლანდიელი 21-წლამდელებიც იქნებიან.

ბერძენ-რომაელთა ერთი მედალი

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა ერთი ვერცხლის მედლით დასრულა. წარმატებას შმაგი ბოლქვაძემ მიაღწია, რომელმაც 66 კგ წონით კატეგორიაში ოთხ მეტოქეს აჯობა, ფინალში კი რუს აბუიაზიდ მანციგოვთან დამარცხდა.

მედალთან ახლოს გახლდათ ნიკა ცეცხლაძეც (55 კგ.), რომელმაც ნახევარფინალში გააღწია, თუმცა იქ ასევე რუს რუბენ მინასიანთან წააგო, მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში კი ყაზახ აკან ბაიმაგანბეტოვს ვერ გაუმკლავდა.

ტურნირს კიდევ უფრო ადრე გამოეთიშნენ ირაკლი შავაძე (50 კგ.), ხვიჩა ჭითავა (60 კგ.), ლაშა გობაძე (74 კგ.), რობერტ ქობლიაშვილი (84 კგ.), კუკური კირცხალია (96 კგ.) და ზურაბ გედეხაური (120 კგ.).

15-16 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატში გოგონები ჩაებმებიან, 17-18 აგვისტოს კი საქმეში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ვიხილავთ. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: ნიკა ტატუაშვილი (50 კგ.), ბექა ბუჯიაშვილი (55 კგ.), შოთა ფარტენაძე (60 კგ.), ლაშა გიგაშვილი (74 კგ.), ლევან გოგრიჭიანი (84 კგ.), გიორგი კაკაურიძე (96 კგ.), გენო პეტრიაშვილი (120 კგ.).

დეფი: „ქართულ პრემიებს მე უფრო ვჭირდები, ვიდრე ქართული პრემიები მჭირდება მე“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბა მიიღო ედგარ ალან პოსგან. გამოაქვეყნა ესეების კრებული „მკვდარი დრო“, რომელიც შეეხებოდა ადამიანის ბედს იმდროინდელ მსოფლიოში. წიგნი შედგება ციტატებით ბიბლიიდან და მოიცავს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ასევე გამოიცა დიალოგების ორიგინალური კრებული „სიტყვები სიტყვები სიტყვები“. დიალოგები წიგნის გმირებთან, მათი ბედი ავტორიზებულ ტექსტში. ზედიზედ გამოქვეყნდა მისი სამი რომანი „ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს“, „დეკემბრის თილისმა“, „დილა სასწაულების წინ“. რომანი „ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს“ ითარგმნა ინგლისურ და გერმანულ ენაზე.

დეფიმ თარგმნა ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველი“, ხოლო მოგვიანებით გამოსცა ფუნდამენტური ნამუშევარი, რომანი „დემნა გედევანიშვილი“, ორნაწილიანი რომანი პროლოგითა და ეპილოგით და გაგრძელებით ინტერნეტში, რაც ათავისუფლებს ტექსტს ყდაში ჩასმული ჩარჩოებისგან. ეს არის „ამბავი კაცისა, ვისაც უყვარდა, სწამდა და ჰქონდა იმედი“. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ ენაზე.

რაც შეეხება პოეზიას, ქართულ და ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში აქტიურად ქვეყნდება მისი პოეზია. გამოცემული აქვს ლექსების წიგნი „ზურმუხტი და საფირონი“. წაწერილი აქვს პოეტური ტრილოგია „დაიქცა“, რომელიც მოიცავს სამ დამოუკიდებელ წიგნს: „და“, „იქ“, „ცა“. მომდევნო წლებში ზედიზედ ქვეყნდება „სევდია“, „ნათებანი“, „დნმ სიმფონია“, „აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ“. ლექსების კრებული „სამკაული“ და აუდიოალბომი „ამიშვი ცამდე“ ახალი თაობისთვის საკულტო მოვლენად იქცა და ჩატარდა რიტუალური აქციები: დიდგორის ველზე („სტიქია ცეცხლი“), სადაც დაიწვა ორდენის პოეზია. მას მოჰყვა მეორე აქცია: „სტიქია მინა“ – სამების საკათედრო ტაძართან ორდენს გამოეყო მინის მცირედი ნაკვეთი, სადაც დაირგა ბროწეულის ხე და მის ფესვებში ჩაიდო ორდენის ლექსები. „სტიქია წყალი“ – სამკაული ნავებით გავიდა ზღვაში, სადაც ჩატარდა პოეტური პერფორმანსი და ბოთლებში ჩადებული ლექსები მიეცა წყალს. სამკაულისგან განცალკევებით დეფიმ შექმნა ახალი პროექტი, რომელიც მოიცავს მისი პოეზიის აუდიო და ვიდეო ალბომს სახელწოდებით „დაფიონი სუპერნოვა დომინე“. მისი ნაწილი, სახელწოდებით „ობსერვატორია“, 2008 წელს ქალაქ ლვოვში გამართულ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე იქნა წარმოდგენილი. მისი პოეზიის აუდიოალბომი „დაფიონი სუპერნოვა დომინე“ ქართველი და უცხოელი კრიტიკოსების მიერ შეფასდა, როგორც პირველი ხმა ახალ პოეზიაში. ინგლისურ ენაზეა თარგმნილი მისი პოეზიის ნაწილი, წიგნიდან „ნათებანი“ და ასევე ლექსები „21 რიტუალური კოცნა“ და „თორმეტი ანგელოზი“. პოემა დაასრულა პოეზიის ახალი ციკლი „აბსოლუტური ნიუ იორკი“ და დაიწყო კიდევ ერთი ახალი ციკლი, სახელწოდებით „აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ“.

აბასთუმნის ობსერვატორიაში, პირდაპირ ტელესკოპში, ღამის 12 საათზე საგანგებოდ დამონტაჟებულ, კვადროფონიულ აპარატურაზე გაიმართა დეფის პოეზიის, აუდიოალბომის, „დაფიონი – სუპერნოვა დომინეს“ საჯარო წარდგინება მოწვეული აუდიტორიის თვალწინ. ამჯერად დეფი როკ-ჯგუფ „სანდასთან“ ერთად თავის ახალ პროექტზე მუშაობს, სახელწოდებით „თქვენ შორის ღმერთია“. ეს, დეფის პოეზიისა და „სანდას“ მუსიკის ორენოვანი პროექტია ქართულად და ინგლისურად.

კიდევ რა სიახლეებია დავით დეფის შემოქმედებაში, ამაზე პოეტი და რომანისტი „ახალ თაობას“ ესაუბრა:

– როდესაც 2012 წელს ჩემი ერთ-ერთი პროზაული ნაწარმოები აღმოჩნდა შეტანილი წიგნში „ევროპის საუკეთესო ნაწარმოებები“ დადგენილი ალექსანდრე ჰემონის მიერ, ეს არის ამერიკული გამომცემლობა, შემდეგ ერთი პერიოდი მქონდა ძალიან სერიოზული მიწვევები ამერიკული და მსოფლიო პენკლუბის ღონისძიებებზე. ასევე გავხდი პოეტთა და რომანისტთა უშველებელი საზოგადოების „ლედიგ ჰაუსის“ წევრი და გარკვეული თვეები ვცხოვრობდი ნიუ იორკში, იქ ვმუშაობდი, მქონდა მოლაპარაკებები სხვადასხვა გამომცემლობებთან და მქონდა რამდენიმე ცოცხალი წარმოდგენა მანჰეტენში პოეზიის მსოფლიო დარბაზში. როდესაც გარკვეული კრიტიკული წერილები დაიწერა ჩემი ნაწარმოებების შესახებ ამერიკულ და ევროპულ პრესაში, თუმცა უფრო მეტი იყო ამერიკაში, დამიკავშირდა ბრაზილიური გამომცელობა „ლუმე“. დამიკავშირდა ფაბიო გიუმარაეს ბენსუსენი და მითხრა, რომ მას აქვს სურვილი, ევროპის საუკეთესო ნაწარმოები „დასასრულამდე“ თარგმნოს პორტუგალიურად და გააცნოს მკითხველს. ჩემი მხრიდან შევთავაზე, თუ გნებავთ, სხვა ჩემს ნაწარმოებებსაც გამოგიგზავნით-მეთქი. პასუხი იყო ასეთი, სიამოვნებით, ამ ტექსტს გადავცემთ გამომცემლობის აღმასრულებელ დირექტორს, ვინც განაგებს გამომცემლობას და გაცნობებთ პასუხს, რადგან თქვენი ტექსტები უნდა განიხილოს ბორდმა ანუ სამეთვალყურეო საბჭომო. ეს არის ექვსკაციანი ბორდი და მათში მთელი მსოფლიოდან შედის ლიტერატურა და მათ ეცნობიან. მაშინ მითხრეს, პასუხი რამდენიმე თვეში მოგივაო, მაგრამ პასუხი მომივიდა რამდენიმე დღეში, მათ წაიკითხეს ჩემი რომანი „დილა სასწაულების წინ“ და მომთხოვეს, სასწრაფოდ გადამეგზავნა სხვა ჩემი ტექსტები, თუკი რამე არის თარგმნილი ინგლისურ ენაზე. მათ გავუგზავნე სამი ჩემი რომანი და ერთი მოთხრობა. ამ შემთხვევაშიც მითხრეს, რომ ბორდი როგორც კი განიხილავს, პასუხს შეგატყობინებთ რამდენიმე თვეშიო, მაგრამ პასუხი ისევ რამდენიმე დღეში მომივიდა და მითხრეს, ბორდის ყველა წევრმა უკვე დაიწყო კითხვა, მეც მათ შორის და, პრინციპში, მზად ვართ, რომ ეს ყველაფერი ვთარგმნოთ და გამოვცეთ პორტუგალიურად, გამოვცეთ ბრაზილიაში, სან პაულოში და იქიდან გადავა ბრაზილიის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის დედაქალაქშიც რიო დე ჟანეიროშიო.

– ახლა რა ეტაპზეა თქვენი ნაწარმოებების გამოცემა?

– ორი წიგნი უკვე გამოიცა, ეს მთელი სერია იქნება დევიდ დეფისი. დავით დეფის მთელი სერია – ასე ჰქვია. მასში გაერთიანდება სამი რომანი და ერთი მოთხრობა. ერთი რომანი და ერთი მოთხრობა უკვე გამოცემულია და დარჩა კიდევ ორი რომანი. ეს არის „ბაღები და ეშმაკთა სამკვიდრო“. ეს არის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე და რომანი „დილა სასწაულების წინ“. უკვე გამოცემულია „სიტყვები სიტყვები სიტყვები“ და მოთხრობა „სკამი“.

– ეს მთელი თქვენი შემოქმედებაა?

– არა, ეს არის ჩემი შემოქმედების ნახევარი, იმიტომ რომ ამ წუთში დავამთავრე ჩემი მეშვიდე რომანი და პოეზია. სხვათა შორის, ამერიკაში ანონსი უკვე დაიდო, რომ ჩემი წიგნი მალე გამოიცემა. ეს არის ჩემი პოეზია და პროზა ინგლისურ ენაზე ნიუ იორკში.

– მეშვიდე რომანზე შეგიძლიათ წინასწარ საუბარი?

– ჯერჯერობით გამოდის ჩემი მეექვსე რომანი, „სამყაროს ყველა საიდუმლო“, რომელიც მივიტანე გამომცემლობა „სიესტაში“ და, სანამ ეს სამუშაოები დასრულდება – დაკაბადონება, დიზაინი, ალბათ, გავა რამდენიმე თვე და, ვფიქრობ, სექტემბერ-ოქტომბერში მკითხველამდე მივა ეს რომანი. ეს არის უახლესი რომანი „სამყაროს ყველა საიდუმლო“. რაც შეეხება მეშვიდე რომანს, მასზე ვმუშაობდი სამი წელი, რაღაც პერიოდში გაწყვეტილი მქონდა წერა. პარალელურად ვმუშაობდი სხვა რომანზე, პროზაზე, პოეზიასა და აუდიოალბომზე ჯგუფ „სანდასთან“ ერთად. ახლა, როდესაც თავისუფალი დრო მეტი მქონდა და შემეძლო, თავიდან ბოლომდე მთელი ჩემი დრო დამეთმო ამ წიგნისთვის, დავასრულე.

– რა ჰქვია თქვენს მეშვიდე რომანს?

– „დასასრულისა და დასაწყისის საზოგადოება“. ეს რომანი არის მუსიკაზე. მთავარი გმირია მუსიკა და მისი ანტაგონისტი არის ხმაური. ვფიქრობ, რომ დღევანდელი მსოფლიო ძალიან ღიაა, ზედმეტად ღიაც კი. ეს სამყარო ღიაა ინტერნეტის საშუალებით, თანაც ამ ინტერნეტმა იმდენად დაგვაახლოვა, რამდენადაც დაგვაშორა, მაგრამ მაინც ერთ წერტილში ვართ – თან ახლოს ვართ ერთმანეთთან და თან შორსაც. თუკი ნაწარმოები არის უნივერსალურ მეტყველ და გასაგებ ენაზე დაწერილი, იმას ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში აღიქვამს, როგორც თავის საკუთარ ნაწარმოებს და, ვფიქრობ, ჩემი წარმატება განსაზღვრა იმან, რომ არ ვარ ლოკალური პრობლემის აღმწერი და მისი გადამჭრელი იდეის მატარებელი კაცი. ვფიქრობ, პრობლემა თუ არსებობს, ის მართლა პრობლემა მაშინ არის, თუ ის არის გლობალური პრობლემა, ამიტომაც ის ერთნაირად აწუხებს ქართველსაც, ფრანგსაც და ამერიკელსაც და ნებისმიერ სხვა ეთნოკულტურის წარმომადგენლებს, როდესაც ეს ყველა პირობითი საზღვარი, პრაქტიკულად, გამქრალია, თუკი ჩვენ ვართ არა პრობლემის ნაწილი, არამედ პრობლემის გადამწყვეტები და იდეის მატარებლები, რომ აღარ არსებობდეს პრობლემა ადამიანებს შორის. მგონია, რომ ლიტერატურა სწორედ ის ხიდია, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან გვაკავშირებს.

– პრობლემა თქვენს გვართან დაკავშირებითაც ამოწურულია?

– ჩემი გვარის წარმოთქმის პრობლემა ნამდვილად იყო. ის ხმაური, რომელიც ჩემს გვართან დაკავშირებით ატყდა, იმას ვაბრალებ, რომ ბევრ საკითხში ჩვენში არის ინფორმაციის მოპოვების ნაკლებობა და სურვილისა, რომ ინფორმაცია სწორად გაიგონ. ყურმოკვრით იციან ადამიანებმა რაღაც-რაღაცები და მერე სიმართლის გარკვევის სურვილი აღარ აქვთ. ჩემი სრული სახელი და გვარი პასპორტით არის დავით დეფი გოგიბედაშვილი. რადგანაც ყველა საქართველოში მომმართავს სახელით დავითით ან დეფით, მირჩევნია, ყველაფერი უფრო მარტივად იყოს, მირჩევნია, ჩემი სახელი დავტოვო წიგნზე და გასაგები იყოს ის უცხოელი მკითხველისთვის. დანარჩენ ნებისმიერ საინფორმაციო სივრცეში ინტერნეტი იქნება, ჩემი საიტი თუ ვიკიპედია, მითითებულია, რომ ჩემი სახელი არის დავით დეფი ანუ ორი სახელი, რომელიც აღიქმება ჩემს სახელად მთლიანობაში და ჩემს ლოგოტიპად. სრული გრძელი სახელი არის დავით დეფი გოგიბედაშვილი. ვერ შევუქმნი პრობლემას ვერც ერთ ადამიანს, ვისაც აინტერესებს ჩემი შემოქმედება, მოვაძრობინო ენა იმის გამო, რომ მან არ იცის ქართული. ბედნიერი ვიქნები, ქართული ისწავლოს მთელმა მსოფლიომ და წაგვიკითხოს არა თარგმანში, არამედ ქართულ ენაზე, მაგრამ ეს ილუზიაა და ილუზიას რატომ უნდა მოვატყუებინო თავი? როცა ყველა დეფის მეძახის, ყველა ასე მომმართავს, თუ პასპორტში ასე მიწერია, საერთოდ პრობლემას ვერ ვხედავ. არადა, რა ამბავი ატყდა, ამიგორეს, გვარზე უარი თქვაო. გვარი არის ულამაზესი შენი სიმბოლო ამქვეყნიური არსებობისა, მთელი გრძელი გენეტიკისა, იმ ჯაჭვისა, რომელშიც შენ თვითონაც ხარ ერთ-ერთი რგოლი, შენამდე იყვნენ ადამიანები ამ გვარით და შენ მერეც იქნებიან, მაგრამ, შენი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, შენი სახელის დატოვება წიგნზე აბსოლუტურად ნორმალურია, როდესაც სახელს აწერს ავტორი და უფლება აქვს ნებისმიერ ავტორს, თავისი სახელი, როგორც უნდა, ისე დაწეროს ან თუნდაც სულ სხვა სახელი დაირქვას. სტენდალმა დაწერა სტენდალი, ერთი სიტყვა და ამ დროს დაწერა მსოფლიო ბესტსელერი „წითელი და შავი“.

– ლიტერატურულ პრემია „საბაზეც“ მინდა გკითხოთ. მის მოკლე ჩამონათვალში ისევ არ მოხვდა თქვენი არც პოეტური და არც პროზაული ნაწარმოები. აღარ წარადგინეთ თქვენი ნაწარმოებები თუ ისევ მოკლე ჩამონათვალს მიღმა დარჩით?

– ნებისმიერი გამომცემლობა, რომელთანაც სხვადასხვა წიგნზე ვთანამშრომლობ, ეს იქნება გამომცემლობა „სიესტა“, გამომცემლობა „შემეცნება“ თუ გამომცემლობა „წიგნები ვაკეში“, ჩემს პოეზიასა და პროზას ნებისმიერ დროს წარადგენენ ხოლმე ქართულ ყველა პრემიაზე, იქნება ეს „საბა“, „გალა“ თუ ილიაუნის პრემია და ა.შ. ეს ქრონიკული სურათია და რატომ უნდა მოვიტყუოთ თავი?! ფაქტია, რომ ჩემი წიგნი, სადაც წერია დეფი, არსად არ გადის. ეს ჩემი საქმე არ არის. ამას წყვეტს ჟიური, თუ რატომ არ გადის. საერთოდ არ მაინტერესებს, მე გავდივარ ჩემს გზას და ეს არ არის ჩემი საქმე. მივდივარ ჩემი ცხოვრების გზაზე, ავდივარ აღმართებზე, ბევრი აღმართი გავიარე, უფრო მეტი აღმართი მაქვს გასავლელი. ასეთ რამეებზე დროს არ ვკარგავ, პრობლემა არ მაქვს, თუკი მომცემენ პრემიას, მივიღებ, ეს ჩემი არანაირი პოზა არ არის. მაგრამ აქ ვხედავ ერთგვარ ლოკალურ ჩაკეტილ კუდაბზიკურ სივრცეს. ნებისმიერი ქართული პრემია, მგონია, რომ ლოკალური კუდაბზიკობის მნიშვნელობისაა.

– ეს რას ნიშნავს?

– ადამიანებთან, რომლებიც არ იმჩნევენ ავტორის არსებობას, არ შემიძლია, საერთო ენა გამოვნახო. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ არ იმჩნევენ ავტორის არსებობას და ნუ იმჩნევენ, ეს არ არის ჩემი საქმე. მზე ყველასთვის ანათებს. როცა მინდორში ამოდის ყვავილი, იქვე არის ნეხვი. ასე თქვა შოთა რუსთაველმა. როცა მზე ანათებს, ყვავილი ნელსურნელებას უშვებს, ნეხვი ყარს და ყროლს უშვებს, მზე კი ყველასთვის ანათებს. რომელია ჩვენში ნეხვი და რომელი – ყვავილი, ამას დრო განსჯის. მე უკვე ვიცი, ვინ ვინ არის, მაგრამ, ვინც ვერ ხედავს, მათი ყველას წამალი დროა.

– იქნებ არ ესმით თქვენი ნაწარმოებები და ვერ სწვდებიან თქვენს სათქმელს?

– როგორ შეიძლება, ესმოდეთ უილიამ ფოლკნერი, ოთარ ჭილაძე და არ ესმოდეთ დეფი, ცოტა სასაცილოა. არც უილიამ ფოლკნერს ვედრები და არც ოთარ ჭილაძეს, მაგრამ შედარებისთვის ვთქვი. ცოტა უცნაური რამაა. ესმის ყველას, მთელ მსოფლიოს – ბრაზილიას და ამერიკას, მილიარდიან და უშველებელი კაპიტალის ქვეყანას და ამ პატარა საქართველოში რატომღაც არ ესმით, უფრო სწორად, ძალიან კარგად ესმით, მაგრამ რა ვუყოთ ამ სამი მაიმუნის სიმბოლოს – არაფერი არ მესმის, ვერაფერს ვერ ვხედავ, არაფერს არ ვამბობ.

– გული არ გწყდებათ ამაზე?

– ნამდვილად არ მწყდება გული. ასე არ იფიქროთ. ძალიან ბედნიერი კაცი ვარ. მაქვს დრო, რომ ვიჯდე და ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე, მყავს ულამაზესი მეუღლე, მყავს ორი უვაჟკაცესი და მართლაც ლამაზი ბიჭი, ორი ჩემი შვილი. როცა ვატარებ საღამოებს, დარბაზში მოდიან ის ადამიანები, ვისაც ჩემი შემოქმედება აინტერესებს, ვწერ აუდიოალბომს უნიკალურ ჯგუფ „სანდასთან“ ერთად, ჩემი წიგნები გამოდის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში და 2014 წელს დაიწყება ევროპაშიც. პრემიების გამოდევნება ჩემი საქმე არ არის. ვფიქრობ, ქართულ პრემიებს მე უფრო ვჭირდები, ვიდრე ქართული პრემიები მჭირდება მე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. თავისუფალი, საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 6. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ირანის ძველი დედაქალაქი; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა; 21. ბრაზილიური ცეკვა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

თარაზულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 7. დედალი ცხენი; 9. ქართველი მხატვარი ქალი; 10. პროდუქციაზე ფასის დაკლება უხარისხობის გამო; 12. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 13. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. მოხდენილი, ლამაზი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 20. ათკაპიკიანი მონეტის სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. რამდენიმე თოფის, ქვემეხის ერთდროული გასროლა; 23. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. სამდინარო, არათვითმავალი სატვირთო გემი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტემპერა; 2. ბრუკი; 3. ვალენსია; 4. პრატერი; 5. შინხოფერი; 9. ღრეობა; 12. კანიონი; 14. ვერიკო; 15. ლოქო; 17. ბერნი; 18. იაკო.

თარაზულად: 6. ცეზურა; 7. მაშარაბი; 8. ოპტიკა; 10. კენზო; 11. ნაცარქექია; 13. წვეულება; 16. ბაგები; 19. კაბოშონი; 20. მოგადიშო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ფუტბალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. ჯოისი; 6. იყალთო; 8. გირაგი; 11. დებიუტი; 14. ალადასტური; 15. ხოზაფინი; 16. პოლინეზია; 17. სამაია; 19. გერუსია; 21. ხარკი; 22. ბრაგა.

თარაზულად: 1. იფიგენია; 5. ჯინი; 7. ნაგანი; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. აგუნა; 20. პლასტიკა; 22. ბრიჯი; 23. პუბლიკა; 24. ზანავი; 25. კუპრი.

რუსეთი უკრაინის ევროინტეგრაციის შეფერხებას საბაჟო ბარიერების შემოღებით ცდილობს

რუსეთმა უკრაინის ტვირთზე საბაჟო კონტროლი გაამკაცრა. ამჟამად უკრაინიდან რუსეთში ექსპორტი პრაქტიკულად მთლიანად გაჩერებულია.

რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ტვირთის შეფერხება უბრალოდ ბიუროკრატიულმა პროცედურებმა გამოიწვია და ვარაუდობს, რომ პრობლემა მალე მოგვარდება. თუმცა, სლუცკი იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი პრობლემების მოგვარება გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა, უკრაინა საბაჟო კავშირის წევრი რომ ყოფილიყო.

უკრაინელი და რუსი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ბიუროკრატია აქ არაფერ შუაშია და ყველაფერი პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. მათი თქმით, უკრაინამ აირჩია ევროინტეგრაციის გზა, რაც რუსეთს არ მოსწონს. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ 28-29 ნოემბერს ვილნიუსის სამიტზე უკრაინა ხელს მოაწერს ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე და მასთან თავისუფალ ვაჭრობაზე.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კრემლის ამ გადაწყვეტილებას უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი არ აჰყვება და გააგრძელებს ევროინტეგრაციის გზას.

ევრაზიის საბაჟო კავშირი არის რუსეთის პრეზიდენტის მთავარი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლის დასაწყისში ევრაზიის საბაჟო კავშირის გარდაქმნას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად. საბაჟო კავშირი ამჟამად აერთიანებს რუსეთს, ბელორუსიას და ყაზახეთს. ხოლო ზოგი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, მაგალითად, სომხეთის, მოლდავეთის, უკრაინისათვის, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებას ცდილობენ – არჩევანი ძნელი გასაკეთებელია, რადგან ევრაზიის საბაჟო კავშირში გაწევრიანება ევროკავშირში ინტეგრაციასთან შეუთავსებლად აღიქმება.

ეს არის სახელმწიფოთა შორისი ინტეგრაციის ერთ-ერთი საფეხური, რომელიც ინტეგრაციაში ჩართულ სახელმწიფოთა შორის ტარიფების გაუქმებასა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ საერთო ტარიფების შემოღებას ითვალისწინებს. საბაჟო კავშირის შემოღება ეტაპობრივად ხდება, რასაც ჰარმონიზაცია ეწოდება. საბაჟო კავშირის დასავლური მაგალითია 1958 წლის რომის ხელშეკრულება, რომელთაც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნა.

ოფიციალური მონაცემებით, ეგვიპტის შეტაკებებს 525 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ეგვიპტეში, ყოფილი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის მხარდამჭერებსა და სამხედროებს შორის შეტაკებებს, ოფიციალური ინფორმაციით, 525 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ყველაზე მეტი ადამიანი დედაქალაქში დაიღუპა, მაგრამ ძალადობის შემთხვევები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იყო.

მსხვერპლის რაოდენობის შესახებ საბოლოო მონაცემები, ოფიციალურზე მაღალი იქნება, რადგან დაღუპული ადამიანების აღრიცხვა არ ხდება.

მურსის მხარდამჭერები ამბობენ, რომ 2 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ეგვიპტის დროებითი პრემიერ-მინისტრის ჰაზემ ბებლავის განცხადებით, ქვეყანაში უსაფრთხოების აღდგენის მიზნით, ხელისუფლება იძულებული იყო მსგავსი ოპერაცია ჩაეტარებინა.

მომხდარი ძალადობის გამო თანამდებობიდან გადადგა ეგვიპტის დროებითი მთავრობის ვიცე-პრეზიდენტი მოჰამედ ელ-ბარადეი.

„ვერ გავაგრძელებ იმ გადაწყვეტილებებისთვის მხარდაჭერას, რომელსაც არ ვეთანხმები და რომლის შედეგებიც მაფრთხობს. ვერ დავუჭერ მხარს სისხლისღვრას“, – განაცხადა მოჰამედ ელ-ბარადეიმ.

ეგვიპტეში დაღუპულ ჟურნალისტთა რაოდენობა კი ოთხამდე გაიზარდა, რამდენიმე ათეული კი დაშავებულია. ამის შესახებ ეგვიპტური სააგენტო „აჰრამ ონლაინი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულია „სქაი ნიუსის“ ოპერატორი მიკ დინი, ეგვიპტელი ჟურნალისტი, 26 წლის ჰაბიბა აჰმედ ელაზიზი, სააგენტო „ერენენის“ ფოტოჟურნალისტი მოსაბ ელ-შამი და გაზეთ „ალ-აკბარის“ ჟურნალისტი აჰმედ აბდელ გავადი.

ეგვიპტური მედიის ინფორმაციით, ოთხივე ჟურნალისტი ქაიროში მომხდარი შეტაკებების დროს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

„ჰაფინგტონ პოსტის“ ცნობით, ეგვიპტის პოლიციამ ამერიკული გამოცემა „დეილი ბესტის“ რეპორტიორი მაიკ გილიო დააკავა, რომელიც სასტიკად სცემეს. დაჭრილთა შორის არის „როიტერის“ ფოტოგრაფი ასმა ვაგუ, რომელიც ერთ-ერთი ფრილანსერი ჟურნალისტის ინფორმაციით, ფეხში დაჭრეს, რის შემდეგაც კლინიკაშია მოთავსებული.

ასევე ინტერნეტში ვიდეო გავრცელდა, სადაც ჩანს, რომ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერებსა და სამხედროებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ, დემონსტრანტებს შორის ოფიცრის გამოჩენამ, რომელსაც სახე და ტანი სისხლით აქვს მოსვრილი, ზოგიერთის მათგანის აღელვება გამოიწვია. მაგრამ, ოფიცერი სხვა დემონსტრანტებმა დაიცვეს და სამშვიდობოს გაიყვანეს.

ეგვიპტეში შექმნილ მდგომარეობას მსოფლიო ლიდერებიც გამოეხმაურნენ და შეშფოთება გამოთქვეს მომხდარით.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი აცხადებს, რომ ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები საგანგაშოა, რაც შერიგების მცდელობებს საფრთხეს უქმნის. იგი მხარეებს საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტილების მოძებნისკენ მოუწოდებს.

„ეს მოვლენები საგანგაშოა და ეწინააღმდეგება ეგვიპტელების მშვიდობისკენ და ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ სწრაფვას. ეგვიპტელებმა, მთავრობაში თუ მის გარეთ, უნდა გადადგან ნაბიჯი უკან, უნდა დაანწყნარონ სიტუაცია და თავიდან აიცილონ ადამიანების დაღუპვა. ეს არის მნიშვნელოვანი მომენტი ყველა ეგვიპტელისთვის. ძალადობა არასტაბილურობას, ეკონომიკურ მარცხს და ტანჯვას გამოიწვევს“, – აცხადებს ქერი.

ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო საკითხებში ქეთრინ ეშტონი და გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი ასევე გმობენ სამხედროების მიერ ძალის გამოყენებას. ისინი აცხადებენ, რომ ეგვიპტის სამხედრო ლიდერებს მურსის მხარდამჭერების მიმართ ძალის არგამოყენებისკენ შეტაკებებამდე ბოლო წუთებამდე მოუწოდებდნენ.

„მე ვიცი, რომ ეგვიპტელი ხალხის უმრავლესობას, ქვეყანაში მშვიდობიანი გზით, დემოკრატიის დამყარება სურს“, – აცხადებს ბან კი მუნი.

„მხოლოდ ეგვიპტელებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობითაა შესაძლებელი დემოკრატიის მიღწევა და ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევა“, – მიიჩნევს ეშტონი.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი აცხადებს, რომ ძალადობით პრობლემა ვერ გადაიჭრება.

„ის, რაც ეგვიპტეში უნდა მოხდეს, არის ამ პროცესების მშვიდობიანი გადაყვანა დემოკრატიულ პროცესებში. ეს ნიშნავს კომპრომისს ყველა მხრიდან“, – ამბობს კემერონი.

კაიროში განვითარებულ მოვლენებს თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიულიც გამოეხმაურა. იგი აცხადებს, რომ ეგვიპტე, შეიძლება, ქაოსის წინაშე დადგეს და პარალელს სირიაში განვითარებულ მოვლენებთან ავლებს, სადაც, გიულის თქმით, სამოქალაქო ომი დაიწყო.

„არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზით მოხდა ეს, ასეთი ქმედებები, შეიარაღებული თავდასხმა მოქალაქეებსა და დემონსტრანტებზე, სრულიად მიუღებელია და, საშიშ კარის გაღების საფრთხეს ქმნის“, – ამბობს გიული.

მუსლიმი ძმების სოლიდარობის ნიშნად, მურსის მხარდამჭერებმა დემონსტრაცია თურქეთში, სტამბულშიც გამართეს.

სისხლისღვრის შესაჩერებლად თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეპ ტაიპ ერდოანის ადმინისტრაციამ გაეროს უშიშროების საბჭოს და არაბულ ლიგას სასწრაფო ზემოქმედებისაკენ მოუწოდა. ერდოღანმა ეგვიპტეში მომხდარს „დემოკრატიისკენ დაბრუნების იმედის სერიოზული ჩაფლავება“ უწოდა. ამასობაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის სისხლიანი შეტაკებების შესახებ ცნობები ეგვიპტის სხვა ქალაქებიდანაც ვრცელდება. ქალაქ სოხაგში, სავარაუდოდ, დამხობილი პრეზიდენტის მუჰამედ მორსის მომხრეებმა სამ კოპტურ ეკლესიას წაუკიდეს ცეცხლი. კოპტებმა სამ ივლისს მხარი დაუჭირეს მურსის გადადგომას.

შარმ-ელ-შეიხში ტურისტული ექსკურსიები დროებით შეჩერდა, პოლიცია კი ჰურგადაში მყოფ ტურისტებს სასტუმროებში დარჩენისკენ მოუწოდებს ეგვიპტის სხვადასხვა ქალაქებში არსებული ვითარების გამო. ამის შესახებ ერთ-ერთი ტურისტული სააგენტო იუწყება.

საკურორტო ქალაქ ხურგადაში მყოფი ქართველი ტურისტები ქალაქის დატოვებას არ აპირებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხურგადაში დასასვენებლად მყოფმა რამდენიმე ქართველმა სატელეფონო საუბრისას განუცხადეს, საკურორტო ქალაქში სიმშვიდეა და საფრთხე არავის ემუქრება.

„გუშინ ტელევიზიით მოვისმინეთ ინფორმაცია, რომ არ დაგვეტოვებინა სასტუმროების ტერიტორია. მომსახურე პერსონალსაც ვკითხეთ საშიში ხომ არ იყო ქალაქში გასვლა. გვითხრეს, რომ საშიში არაფერია და ჩვენც ვათვალიერებთ ხურგადას. მაღაზიებშიც დავდივართ და გემზეც ვიყავით. ჩვენ აქ ვერ ვგრძნობთ თუ რამე საშიშროება გვემუქრება. გუშინაც შემოგვიერთდნენ თბილისიდან ჩამოსული ტურისტები“, – აცხადებენ საქართველოდან ეგვიპტეში დასასვენებლად ჩასული ტურისტები.

მოსკოვში 1800 უცხოელი არალეგალი მიგრანტი დააკავეს

მოსკოვის ერთ-ერთ ბაზრობაზე, პოლიციელებმა 1800 უცხოელი არალეგალი მიგრანტი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის ოლქის მთავარ სამმართველოზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაკავებულთაგან 240 ადამიანზე, რუსეთის ტერიტორიაზე ჩასვლის რეჟიმის დარღვევის მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ოქმი შეადგინეს. ამასთანავე, საბუთების გაყალბებისა და არაკანონიერი მიგრაციის ორგანიზების გამო, 68 ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება.

რუსეთის მასშტაბით ბაზრების მასობრივი შემოწმება 27 ივლისის შემდეგ დაიწყო. ამ პერიოდიდან დღემდე, ათასობით ადამიანია დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არალეგალური ვაჭრობის აღმოსაფხვრელად ჩატარებული რეიდების შემდეგ, არალეგალი მიგრანტებისთვის კარვები გაშალა. არალეგალთა უმრავლესობა ვიეტნამელი წარმოშობისაა, ამიტომ კარვებში ცუდი პირობების გამო პირველმა პროტესტი ვიეტნამის საელჩომ გამოთქვა.

როგორც ცნობილია კარვებში 600-მდე არალეგალი ცხოვრობს. ვიეტნამელების გარდა, არალეგალებს შორის არიან ტაჯიკები, უზბეკები, სირიელები, ყირგიზები და მაროკოელები. ერთ-ერთი არავიეტნამელი მიგრანტის თქმით, თავდაპირველად კარვებში ქალები და ბავშვებიც იყვნენ, თუმცა მისი თქმით, „ვიეტნამელებს არაფრის არ ერიდებოდათ“ და ამიტომ ისინი სხვა ადგილას გადაიყვანეს.

ექსპერტების ვარაუდით, ამჯერად პროტესტი მხოლოდ ვიეტნამის საელჩომ გამოთქვა, თუმცა თუ კარვები შემოდგომამდე არ აიღეს, მაშინ რუსეთის დიპლომატიურ სამსახურს სხვადასხვა ქვეყნის პრეტენზიების მოსმენა მოუწევს

ისრაელისა და პალესტინის დელეგაციებმა პირველი მოლაპარაკებები გამართეს

სამწლიანი პაუზის შემდეგ ისრაელის და პალესტინის დელეგაციებმა იერუსალიმში პირველი მოლაპარაკებები გამართეს, რომელიც ხუთ საათზე მეტი გაგრძელდა.

მოლაპარაკებების შედეგების შესახებ მხარეებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

დიპლომატებმა შეხვედრას სერიოზული უწოდეს და განაცხადეს, რომ მორიგი რაუნდი ორ კვირაში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ დაპირისპირებული მხარების მოლაპარაკებების განახლების მთავარი ინიციატორია აშშ ბრეზიდენტი ბარაკ ობამა.

ანალიტიკოსების განცხადებით, ჯერჯერობით რაიმე სახის სერიოზულ შეთანხმებებზე საუბარი ნაადრევიაა.

ისრაელსა და პალესტინას შორის ივნისში მოლაპარაკებები ვაშინგტონში გაიმართა, სადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ პალესტინელი ლტოლვილების ბედზე, ისრაელის სამოსახლოებსა და მომავალი პალესტინური სახელმწიფოს საზღვრებზე ცხრა თვის განმავლობაში იმსჯელებდნენ. დღევანდელი შეხვედრის დაწყებამდე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ორივე მხარეს ესმის საკითხის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი საზღვრების დადგენისა და უსაფრთხოების თემები. კერი ისრაელის პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და პალესტინელთა ლიდერს მაჰმუდ აბასს ტელეფონით ესაუბრა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს აპარატის თანამშრომელს, ლაშა გვიდანს ბიძის

აკაკი ჩარქსელიანის

გარდაცვალების გამო.

თეონა მურადაშვილის ხსოვნას

იას და გაზაფხულს შენს ღიმილს ვამსგავსებ,
შევხარი სიცოცხლეს შენს მიერ ნაჩუქარს
შენს სურათს დავცქერი და ვეამბორები
ვერაფერს გაჩუქებ უკეთეს საჩუქარს.

ოცდამეშვიდე დაბადების დღეს ვერ მოესწარი, ჩემო საყვარელო დედიკო. ცაში ანგელოზებთან არჩიე ფარფატი. რა გაეწყობა, იქ შენ ილოცე ჩემთვის, აქ კი მე ვილოცებ შენი სულის სადიდებლად.

შენი უდროოდ დაობლებული ნუციკო ნოზაძე.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი 16 აგვისტო

08.00 დ/ფ "რა არის რეალობა''

09.00 საბ. მხ/ფ "**ჩარლი შოკოლადის ფაბრიკა**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**პარი პოტერი და სიკვდილის ძლვენი**" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" **19.05** ტ/სერ. "**მაბდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** "წითელი ზონა" **23.30** "ცეკვა ამერიკაში" (ბალეტი.)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები-სიცოცხლის სადარაჯოზე" **14.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა/ **16.00** დ/ფ "მოოფლიოს ქალაქები" – "პრაღა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 1 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**სიკვი ბული**" 7 სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დაბალული სიმპარიული**" **17.50** სერ. "**მაანაკეები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**ბრონქსის ისტორია**" (ჩ.პალმინტერი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "SPIDER-MAN" **10.00** სერ. "**სიყვარული მუშეინერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების ბვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სისტრუის თეორია**" **01.00** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამული**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "ღალის ხატი" **11.20** ეთნოგრაფია **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი II**" I ნაწ. **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** "პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან" - ოლღა გურამიშვილი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი - სტეფან გრაპელი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ "**სხვილი ფილები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამული**" **02.00** ირაო

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **16.00 სერიალი "ბორბი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05, 14.10, 20.00 სერიალი "ბაკბილი ზღამი"** **11.05, 16.10, 7.00** დოკ/ფ **12.30** სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს" გამ **13.10, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** დიდი დრო (გამ) **17.10** დოკ/ფ "არქიტექტურა" **17.30** როგორ - "შევხვდი დედაშენს" **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00** BBC სერიალი - "მადამ ბოვარი" **23.00** დოკ/ფ "არქიტექტურა" **23.30** სტერეოტიპი **0.20, 3.50** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6644
- ევრო — 2,205
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5772
- 100 რუსული რუბლი — 5,0196

ამინდის პროგნოზი 16 აგვისტოსთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

„ეგვიპტეში ქართველი ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად არ შემცირებულა“

ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ამ ქვეყნის კურორტებზე ქართველი ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად არ შემცირებულა. ტურ-ოპერატორ „გლობალ თრეველში“ ეგვიპტის მიმართულებით რეისი დღეს მხოლოდ რამდენიმე მოქალაქემ გააუქმა, – აცნობეს „მედიანიუსს“ კომპანიიდან.

ტუროპერატორ „ინტერკონტინენტალის“ ცნობით კი, ეგვიპტის ტურზე არცერთ ტურისტს ამ წუთამდე უარი არ უთქვამს. როგორც „მედიანიუსს“ „ინტერკონტინენტალის“ მარკეტინგის პიარ მენეჯერმა თათა საყვარელიძემ განუცხადა, კურორტ ჰურგადაში მყოფი ქართველი ტურისტები მაქსიმალურად უსაფრთხოდ არიან და მათთან ყოველდღიური კონტაქტი აქვთ.

„ეგვიპტეში ბოლო ტური გუშინ გაფრინდა. ჩვენ მათთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეგვიპტის მოვლენების გამო მსურველთა რაოდენობა არ შემცირებულა. ადამიანები იმ საკურორტო ზონებში გაფრინდნენ, სადაც უსაფრთხოება მაქსიმალურად დაცულია. ეს არ არის კაირო ან ტაჰრირის მოედანი, სადაც შეტაკებები ხდება. ეგვიპტეში არეულობა დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ტურისტების ნაკადი მაინც არ წყდება. რამდენიმე წლის წინ ზუსტად ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც ექსტრაფრენის ტური დაინიშნა და ტურისტები გამოვიყვანეთ. თუ ქვეყანაში გამოცხადდება საგანგაშო მდგომარეობა, ამ შემთხვევაშიც შესაბამისი ზომები იქნება მიღებული. დაველოდოთ მოვლენებს, როგორ განვითარდება“,– განაცხადა თათა საყვარელიძემ.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის 11 პროვინციაში სამართალდამცავებსა და შეიარაღებულ დემონსტრანტებს შორის გუშინდელი შეტაკების გამო კომენდანტის საათი გამოცხადდა. ბოლო მონაცემებით ირკვევა, რომ ეგვიპტის ქალაქ ჰურგადაში ერთი ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „ღუსსია თოდაყ“ავრცელებს.

ამასთან, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდა. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ამჟამად დასასვენებლად იმყოფებიან ეგვიპტის კურორტებზე, მათ შორის ჰურგადაში, მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ტურ-ოპერატორებთან. ქართველმა ტურისტებმა არ უნდა დატოვონ ტურისტული დასასვენებელი ზონების ტერიტორია.

მედიანიუსი

ჯოსვორდი 5

შვეულად: 1. „ვეფხსტყაოსნის“ პერსონაჟი; 2. ბაღჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 12. რაიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 15. შაქრის ლერწმის არაყი; 17. რაიმეს ზღუდე, ზღვარი; 18. მატყლისგან ძაფის დასართავი უმარტივესი ხელსაწყო.

თარაზულად: 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 8. ფულის ერთეული ერაყში; 10. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 11. ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

	1	■	■	2	■	■	■	3	■	■	4	■	■	5
6						■	7							
■		■	■		■	■	■		■	■		■	■	■
8						■			■	■			■	■
■		■	■		■	9	■		■	10				
■		■	■	■	■		■		■	■		■	■	■
11										■			■	■
■	■	■	■	■	■		■		■	12	■	■	■	
13	14			15	■			■	16				17	
■		■	■		■	■		■	■		■	■		■
■		■	■		■	■	18		■		■	■		■
■		■	■		■	■	19							
■		■	■	■	■	■		■	■		■	■		■
20								■	■		■	■	■	■

დეფი: „ქართულ პრემიებს მე უფრო ვჭირდები, ვიდრე ქართული პრემიები მჭირდება მე“

ეკა ირემაშვილი

ქართველი პოეტის, რომანისტისა და პერფორმერის დავით დეფის ნაწარმოებები საქართველოს საზღვრებს ფარგლებს გარეთ საკმაოდ პოპულარულია. სულ ახლახან მისი ნაწარმოებებით ბრაზილია დაინტერესდა და ორი წიგნიც გამოიცა. მოთხრობა „სკამი“ და რომანი „სიტყვები სიტყვები“ – ეს მხოლოდ ნაწილია იმ ნაწარმოებებისა, რომელთა გამოცემასაც ბრაზილიაში გეგმავენ. ამ წიგნების წაკითხვა მკითხველს ორ ენაზე, ინგლისურსა და პორტუგალიურზე შეეძლება. კონტრაქტი დავით დეფისთან ბრაზილიის ცნობილმა გამომცემლობამ „ლუმე“-მ გააფორმა. პოეტი და რომანისტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გამომცემლებს ფრანცისკო დოს სანტოსსა და ფაბიო გიუმარეს ბენსოუსენს, ასევე მთარგმნელებს ამარილის ანჩიეტას, ლუცია ჰუგუენეისა და ეკლაირ ანტონიო ალმეიდა ფილოს.

დეფი:

– სან პაულოსა და რიო დე ჟანეიროში, ერთ წელიწადში, რამდენიმე თვის ინტერვალით, ზედიზედ 3 რომანი და ერთი მოკლე მოთხრობა იბეჭდება. ეს მთელი სერიაა. ზოგჯერ კაცს თავი სარკოფაგში გგონია, ნეკროპოლისში, მაგრამ ზოგჯერ სიცოცხლეს მთელი შენი არსებით გრძნობ. ასეთი დღეები კი გაფიქრებინებს, რომ არასდროს უნდა დანებდე, შენც უნდა გაუძლო და სხვებიც ანუგეშო... შემოქმედებას და კერძოდ ლიტერატურას, საზღვრები არ აქვს თუ ის უნივერსალურია ყველასთვის... და აი – უკვე ოკეანის გადაღმაც დავიდე ბინა. ეს წარმოუდგენლად მაგარი რამაა, მე ხომ ყოველთვის ვამბობდი, სამყაროს მოქალაქეობა სინამდვილეა-მეთქი და არა მითი. პოეზია ჩვენში და ჩვენ შორის, მეგობრებო.

დავით დეფი პოეტი, რომანისტი, პერფორმერი, მულტიმედია არტისტი და XXI საუკუნის პირველი ქართული პოეტური ორდენის „სამკაულის“ დამაარსებელია. მიჩნეულია თანამედროვე ქართული ლიტერატურის ორიგინალურ წარმომადგენლად. არის 2012 წლის ევროპის საუკეთესო ნაწარმოების „დასასრულამდე“ ავტორი. ის თანამშრომლობდა ცნობილ რეჟისორებთან ოთარ იოსელიანთან და ნანა ჯორჯაძესთან. არის მთელი რიგი პოეტური პერფორმანსებისა და აქციების სულისჩამდგმელი და მონაწილე. „ვარდების რევოლუციის“ დროს იყო დაუმორჩილებლობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. განახორციელა ოთხნაწილიანი პოეტური აქცია „ოთხი სტიქია“, გამოიცა წიგნი „სამკაული“ და ორნაწილიანი აუდიოალბომი „ამიშვი ცამდე“. 2008 წლის აგვისტოში, რუსული ინტერვენციის დროს, ჩაეწერა მოხალისეთა არმიაში. დაარსა სამოქალაქო სოლიდარობის შტაბი და არის ცნობილი სლოგანისა და მოძრაობის „სტოპ რაშას“ ავტორი. 2008 წელს ლვოვის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე განახორციელა პოეტური პროექტი „ობსერვატორია“, სადაც თავის პოეზიაში პირველმა გამოიყენა კვადროფონია ვიზუალურ წარმოდგენასთან ერთად. ორი წლის წინ იგი გახდა წევრი პოეტთა და რომანისტთა ამერიკული საზოგადოებისა „ლედიგ ჰაუს“ ნიუ იორკში, სადაც დროგამოშვებით ცხოვრობს და მუშაობს. მისი მოთხრობა „დასასრულამდე“ ალექსანდრე ჰემონის მიერ არჩეულია ევროპის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად 2012. (ა.შ.შ. ჩიკაგო. ნიუ იორკი. გამომცემლობა „დალქი არქაივ პრეს“). ლედიგ ჰაუსთან ერთად, ამავე წელს (2011) სალმან რაშდის, იკაბ ორსოსის, ჯოშუა ფარსტის და დი დაბლ იუ გიბსონის მიერ, დავით დეფი მიწვეულია ნიუ იორკში, მსოფლიო პენ ფესტივალზე, სადაც შედგა დეფისა და ლორი ანდერსონის პოეზიისა და მუსიკის ერთობლივი წარმოდგენა, სახელწოდებით „მეორე კანი“. ამ მოვლენას ამერიკული და ევროპული პრესა უაღრესად პოზიტიური რევიუებით გამოეხმაურა.

დეფის პოეზიაზე ლორი ანდერსონმა მუსიკა საგანგებოდ დაწერა. წარმოდგენა მანჰეტენში გაიმართა ლექსინგტონ ავენიუზე, ანტერბერგის მსოფლიო პოეზიის დარბაზში. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო პულიცერის პრემიის ლაურეატმა, ამერიკელმა პოეტმა იუზეფ კომუნიაკამ. იმავე წელს დავით დეფის ნიდერლანდების ქალაქ ჰაარლემში პოეზიის ყოველწლიური ფესტივალი „რევოლუცია“ თავისი პერსონალური წარმოდგენით იწვევს.

დავით დეფიმ ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა 25 წლის ასაკში დაიწყო. ერთდროულად პროზა და პოეზია. ინსპირირე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

როგორ იცავენ საქართველოში საავტორო უფლებებს?

ეკა ირემაშვილი

შეკითხვაზე, როგორ იცავენ საავტორო უფლებებს საქართველოში, პასუხის გაცემა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა გადაწყვიტა და რეგიონული მედიის მხარდაჭერის ფარგლებში რეგიონის ჟურნალისტებისთვის, საავტორო უფლებების დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის გარშემო არსებული დავების შესახებ სემინარი გამართა.

როგორც შეკრებაზე აღინიშნა, სემინარის მიზანი, აღნიშნულ თემებზე ჟურნალისტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის გაცნობა იყო, რაც მათ შემდგომ საქმიანობაში დიდ დახმარებას გაუწევს.

სემინარზე მიწვეულმა ექსპერტებმა მედიას არსებული კანონმდებლობა გააცნეს და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების კონკრეტული მაგალითებზეც ისაუბრეს. თუ როგორ უნდა დავიცვათ საავტორო უფლებები და რა როლი ენიჭება მედიას ამ კუთხით, ამის შესახებ ჟურნალისტებს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი და იურისტი **მედეა შენგელია** ესაუბრა.

– იმისთვის, რომ ჟურნალისტმა არ დაარღვიოს საავტორო უფლება, მან უნდა იცოდეს რა საავტორო უფლებები არსებობს, რომელი ექვემდებარება დაცვას და რომელი არ ექვემდებარება. იმისთვის, რომ ჟურნალისტმა სხვისი საავტორო უფლება დაიცვას, აუცილებელია, პირველ რიგში, განსაზღვროს, რა უფლებასთან არის შემხებლობაში. თუ ის კონკრეტული საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს იყენებს, ამისთვის საავტორო უფლებით დაცულია ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოები. თუ ამ სამიდან ერთ-ერთს იყენებს, აუცილებლად, პირველ რიგში, კანონი ავალდებულებს, ნებართვა მიეცეს უშუალოდ ავტორისგან ან საავტორო უფლებების სხვა მფლობელისგან და ასევე შეუთანხმდეს საავტორო ჰონორარის გადახდაზე. შეიძლება ჟურნალისტმა ნაწარმოების გამოყენების უფლება უსასყიდლოდ მიიღოს. ეს მთლიანად მოლაპარაკების საგანია, შეიძლება, ნაწარმოების გამოყენების უფლება ან ნებართვა მიიღოს სასყიდლიანად და ესეც შეთანხმების საგანია, სად რა პირობებში მიიღებს ის ნაწარმოებს. რა თქმა უნდა, საავტორო უფლებაზე ნებართვა რომ გამოიყენო, კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს, ეს იყოს აუცილებლად წერილობითი ფორმით, წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიდოს მხარეებს შორის შეთანხმება, სადაც კონკრეტულად აისახება, რა ნაწარმოების გამოყენების უფლება აქვს, რა პირობებით აქვს, რომელ ტერიტორიაზე უნდა გამოიყენოს, რამდენი წლის ვადით პერიოდი, თანხა, ფინანსური პირობები ანუ ყველაფერი უნდა იყოს ხელშეკრულებით განსაზღვრუ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

უეფამ მეჯალისტის ადგილი შეავსო

როგორც უკვე ვწერდით და ვივარაუდეთ, უეფამ სწორედ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო ხარკოვის „მეტალისტის“ ევროთასებიდან მოკვეთის შემდეგ.

მიმდინარე სეზონში ევროტურნირებიდან მოკვეთილი „მეტალისტის“ ადგილს ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში ბერძნული პაოკ-ი დაიკავებს.

როგორც ცნობილია, გარიგებულ მატჩში მონაწილეობის გამო (მეტალისტი-კარპატი 4:0), უეფამ „მეტალისტი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოკვეთა. უკრაინელების ადგილს ის გუნდი დაიკავებს, რომელიც ხარკოველებმა მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე დაამარცხეს. ეს ბერძნული პაოკ-ია.

ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში, პაოკ-ი „შალკეს“ დაუპირისპირდება. ბერძნულ გუნდს ევროპის ლიგის ფლეი ოფში თელავივის „მაკაბის“ წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. უეფას-ს გადაწყვეტილებით, ევროპის ლიგაზე გამოთავისუფლებული ერთი ადგილი არ შეივსება, რაც იმას ნიშნავს, რომ თელ ავივის „მაკაბი“ პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა.

მ. უ.

ასტროპროგნოზი 16 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. ** კურო** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც მოგწონთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, თანაც წარმატებით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ყველაფერს სწორად აკეთებთ, უბრალოდ ხანდახან დაისვენეთ. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარული და შენაძენია მოსალოდნელი. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე წარმატებით დასრულდება, დაჯილდოვდებით. **თხის რქა** – არ აყვეთ სხვებს, საკუთარ ინტუიციას დაეყრდნინთ. **მერწყული** – შემოქმედებითი დღეა, შინაგანად კარგად ხართ. **თევზები** – თავს მიხედეთ, სხვების პრობლემების მოგვარებას ნუ გადაყვებით.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!